


გენდერული თანასწორობის ქართული ფესვები



გენდერული თანასწორობის ქართული ფესვები



წიგნი გამოცემულია ასოციაცია “მერკურის” მიერ

The Network of East-West Women -ის ფინანსური
მხარდაჭერით

გამოცემაზე მუშაობდნენ:

ნანა თოდუა (პროექტის დირექტორი)

მანანა ბუკია (წიგნის შემდგენელი)

ოლგა კიკავა (დიზაინი)

მისამართი:

ზუგდიდი, რუსთაველის ქ. 92

ტელ. 8 (215) 2 0550

ელ-ფოსტა: ass.merkuri@gmail.com

www.ngomerkuri.ucoz.org

ქალი იყო ქართული ოჯახის ბურჯი, სიმტკიცე და
საფუძველი სახელმწიფოსი. არანაკლები იყო ქართველი
ქალის როლი
პოლიტიკაშიც, სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში.
ქართველი საზოგადოების გამაერთიანებელი
ყოველთვის ქალი იყო.
ექვთიმე თაყაიშვილი

ლეგენდები, ზეპირსიტყვიერების ნიმუშები, ქართული
თუ უცხოური ისტორიული წყაროები გადმოგვცემენ, რომ
საქართველოში ქალს განსაკუთრებული ადგილი, ფუნქცია
ჰქონდა, განსაკუთრებული იყო ქალისადმი პატივისცემაც.

ჭკვიანი და სათნო ქალი ამოყვრებდა, ამეგობრებდა და
არიგებდა გადამტერებულ ადამიანებს, ზოგჯერ
სახელმწიფოებსაც. ის იყო სიყვარულის, ერთობისა და
მეგობრობის სიმბოლო.

ქალის მანდილს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. თუ
ქალი მოშუდართა შორის მანდილის ჩაფენას მოასწრებდა,
მოწინააღმდეგეები ჩხუბს თავს ანებებდნენ.

ქართველი ქალის მაღალი მდგომარეობა, მისი როლი
ისტორიაში, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში
კარგად ჩანს უამრავ ისტორიულ-მხატვრულ ძეგლში,
რომლის გვირგვინია უკვდავი „ვეფხისტყაოსანი“. ამ
უკვდავმა პოემამ სულ სხვა თვალთ დაანახა

პატრიარქალურ სამყაროს ქალის როლი და ძალა ქვეყნის მართვის თუ ადამიანური ურთიერთობების დარეგულირების საქმეში.

ქართველ ქალებზე აღფრთოვანებულები წერდნენ ესქილე, ქსენოფონტე, პტოლომეი, სტრაბონი, ხაკანი, პიეტრო დელა-ვალე, პავლე მარია ფაიანცელი, იონათანი, ვაგიფი, ჟან დე მონპერე, ვიქტორ ჰიუგო, ალექსანდრე დიუმა, ბარონი ტორნაუ, ალ. პუშკინი...

უდიდესი იყო ქალის ინტელექტუალური პოტენციალი. ცნობილი იტალიელი მისიონერი არქანჯელო ლამბერტი ნათურქალი საქართველოს მდგომარეობის აღწერისას ამბობდა: „ქართული წერა-კითხვა სულ მოსპობილი იქნებოდა, რომ ქალებს არ შეენახათ იგი. თუ ვისმე უნდა წერა-კითხვა შეისწავლოს, უნდა რომელიმე ქალს მიეზაროს სასწავლებლად. იქ, სადაც დამპყრობელთა ძალადობისა და ისლამის გავლენის წყალობით ვაჟებში ქრებოდა ქართულის ცოდნა და იფერფლებოდა ქართველობის გრძნობაც კი, ეროვნულ თვითშეგნებას ქართულ ენასა და მწიგნობრობასთან ერთად ინახავდნენ ქალები“.

ოქრომრავალი კოლხიდის ასულნი

საქართველოს ისტორიას ათასწლეულთა წიაღში გადავყავართ. ძველი ბერძნული საისტორიო წყაროები თუ თქმულებათა ციკლი მოგვითხრობს სამიათას ხუთასწლოვან ამბებს ოქროს საწმისზე, ოქრომრავალ კოლხიდაზე, არგონავტების მოგზაურობაზე აია-კოლხეთში, უძველესი ცივილიზაციის აკვანში.

მედეა

აპოლონიოს როდოსელი საუკუნეების შემდგომ გადმოგვცემს „არგონავტიკაში“ სიყვარულის და სიძულვილის, ერთგულების და ღალატის, ვაჟკაცობისა და ლაჩრობის საოცარ ისტორიას და უმნიშვნელოვანეს ცნობებს გვაწვდის ელინთაგან არაერთგზის ხოტბამესხმულ კოლხიდის სამეფოს შესახებ.

მზის ღმერთის ჰელიოსის ვაჟის, აია-კოლხეთის მეფის, აიეტისა და ქალღმერთ ჰეკატეს ასული, სილამაზით, გონიერებით, განსწავლულობით გამორჩეული მედეა სახელმწიფო საიდუმლოებებს ფლობდა, სიბრძნით და გრძნეულებებით დარაჯობდა მამის სამფლობელოს.

მედეას თავდავიწყებით შეუყვარდა საბერძნეთიდან დევნილი უფლისწული, ოქროს საწმისის მამიებელი

იაზონი. ეროსის ისრით გულდაკოდილმა ასულმა უდიდესი დახმარება გაუწია იოლკოსიდან ოტებულ უფლისწულს მეფე აიეტის უმძიმესი დავალებების შესრულებაში. რომ არა მედეა, არგონავტები ვერც ოქროს საწმისს გაიტაცებდნენ, ვერც გააღწევდნენ საიდუმლოებებით მოცული ქვეყნიდან.

არგონავტებთან ერთად სამშობლოდან წასვლისთანავე იწყება მედეას ტრაგედია. ჯერ იყო და დას დადევნებული საყვარელი ძმა მოუკლეს ბერძნებმა, მერე კი, ელადაში ჩასული საშინელი ღალატის მსხვერპლად იქცა.

იოლკოსში ჩასულ იაზონს ბიძამ, პელიასმა არ შეუსრულა დაპირება და მიტაცებული ტახტი არ დაუბრუნა ძმისწულს. ორპირობას მიუჩვეველმა მედეამ სასტიკად იძია შური და გულდრძო პელიასი საკუთარ ქალიშვილებს მოაკვლევინა. იოლკოსელებმა ქალაქიდან განდევნეს ტახტის კანონიერი მემკვიდრეები.

დევნილნი კორინთოში ჩავიდნენ. აქ მათ ორი ვაჟი, სხვა გადმოცემით, შვიდი ვაჟი და შვიდი ასული ეყოლათ.

კორინთოში მედეას სხვა, უფრო მძიმე განსაცდელი ელოდა. იაზონს მეფე კრეონტის ასული გლავკე, იგივე კრეუზა შეუყვარდა თუ ანგარების გამო გადაწყვიტა მასზე ქორწინება (მედეას არწმუნებს, – ჩვენი შვილების კეთილდღეობისთვის ვაკეთებო ამას). ვერაგი იაზონი უღმობლად მოექცა მედეას, რომელმაც მისადმი სიყვარულს შესწირა სამშობლო, მშობლები, ძმა და საკუთარი თავი. და

რა დარჩენია შეურაცხყოფილ ქალს, თვინიერ შურისძიებისა? მან შვილების ხელით გაუგზავნა მეტოქეს მოწამლული სამოსი. ბრწყინვალეობას დახარბებული ქალი, რომელსაც არად უღირდა სხვისი უბედურება, სულსწრაფად შეიმოსა და ტანჯვით მოკვდა, მასთან ერთად დაიღუპა ასულის მისაშველებლად მისული კრეონტიც.

შურისმაძიებელმა კოლხმა ასულმა ქალღმერთ ჰერას შეავედრა თავისი შვილები, ტაძარში შეიყვანა და ჰერას საკურთხეველზე დასვა, თვითონ კი ათენში გაიქცა.

გამძვინვარებულმა კორინთელებმა ჰერას ტაძარს შეფარებული შვილები დაუხოცეს მედეას. მიუხედავად ევრიპიდეს მცდელობისა, მედეას დააბრალოს შვილების სიკვდილი, ტრადიცია ფარდას ხდის რეალობას. დიდი ქალღმერთის ჰერას ტაძრის შეგინებისა და უდანაშაულო ყრმათა დახოცვისათვის კორინთელებს ჰერას ტაძრის მსახურებად ყოველწლიურად 7-7 ბავშვის გამწესება დაეკისრათ. ეს ისტორიულად დადასტურებული ფაქტია.

ათენში ჩასული მედეა მეფე ეგეოსს გაჰყვა ცოლად და მისგან ეყოლა ძე მედოსი. ტახტის კანონიერი მემკვიდრის, თეზევსის დაბრუნების შემდეგ მედეამ ვაჟთან ერთად დატოვა ათენი. მედოსმა სძლია მცირე აზიაში ბარბაროსი ტომები, დაიპყრო დიდძალი მიწა-წყალი და დააარსა მიდია.

ბოროტებასთან ბრძოლაში მედეა დამარცხდა იმიტომ, რომ მშობლიურ მიწას იყო მოწყვეტილი. მან დაკარგა

მშობლიური კერა და კოლხიდიდან შორეულ საბერძნეთში გადაიხვეწა. სამშობლოდაკარგული ქალი გამორბის იოლკოსიდან, კორინთოდან, ათენიდან და ხვდება, რომ ყველაზე მტკიცე დასაყრდენი ადამიანისთვის სამშობლოა. მრავალჭირვარამნანახი ქალი კოლხეთში დაბრუნდა, დაეხმარა მეფობადაკარგულ აიეტს ტახტის დაბრუნებაში.

მსოფლიოს უდიდესი გრძნეული, ექიმი, ბალახთა და წამალთა მესაიდუმლე მედეა მედიცინის დედამთავრად ითვლება. ისტორიულად ცნობილ ჰეკატეს ბაღში განსწავლული ფარმაკოლოგიისა და კოსმეტიკის დამფუძნებელი კოლხი ასულის, მედეას როლი დიდია მედიცინის ისტორიაში. მარტო ის ფაქტი რად ღირს, რომ გამოჩენილი გერმანელი ექიმი, ბოტანიკოსი, მედიცინის ისტორიკოსი კურტ იოაკიმ შპრენგელი თავისი განთქმული „მედიცინის პრაგმატული ისტორიის“ ხუთტომეულს კოლხური მედიცინის ისტორიით იწყებს.

მედეას სახელთან არის დაკავშირებული უამრავი დაავადების მკურნალობა, სხვადასხვა სახის ძილისმომგვრელი, ძალისმომცემი, განმკურნებელი, მომაკვდინებელი საშუალებების, ნელსაცხებლების, შესაორთქლებელი, შესასხურებელი, დასაზელი წამლეულის მომზადება; სამკურნალო მცენარეების მოშენება და მათი თვისებების შესწავლა, შხამებისა და ანტიშხამების გამოყენება, გაახალგაზრდავებისა და სიცოცხლის გახანგრძლივების მეთოდების ძიება.

არსებობს ვარაუდი, რომ თვით სიტყვა მედიცინა მედეასგან მოდის.

კირკე

როცა ელინთაგან „ოქრომრავალ კოლხიდად“ მოხსენიებულ ქვეყანასა და მის შვილებზე ფიქრობ, არ შეიძლება არ გაგახსენდეს მზის ღმერთის ჰელიოსისა და პერსეს ასული, კოლხეთის მეფის აიეტის და კირკე. აპოლონიოს როდოსელის ცნობით, აიაზე მცხოვრებმა ბრძენმა გრძნეულმა განწმინდა მედეა და იაზონი აფსირტეს წინაშე ჩადენილი სისხლიანი დანაშაულისაგან.

ჰელიოსმა კირკე ეტლით ჰესპერიაში ჩაიყვანა, იტალიის სამყაროში დაასახლა. თავის კუნძულზე კირკე სრულუფლებიანი დედოფალი გახდა. მის ჯადოსნულ კვერთხს შეეძლო მოგზაურები ცხოველებად ექცია.

ჰომეროსი „ოდისეაში“ დაწვრილებით გადმოგვცემს ტროადან დაბრუნებული ითაკელების სტუმრობას კირკესთან. ამ იდუმალ ქალღმერთს შეეძლო გამოეხმო ღამე, ქაოსი, წყვდიადის მისტიკური ძალები, შელოცვით მთვარისთვის ეცვალა სახე, მზის გარშემო ღრუბლები შეეყარა, მიწისთვის წყვდიადის ფარდა გადაეფარებინა, შეექმნა ლანდები, დაებნია თავად ღმერთები. კირკე ჭემმარიტად იდუმალი ქვეყნის იდუმალი ასულია.

ერთმა ამერიკელმა მეცნიერმა იუმორით თქვა: „კოლხმა კირკემ აქცია ბერძნები ღორებად და არა პირიქით. ეს კოლხთა კულტურის უფრო მაღალ დონეზე მეტყველებს“.

ხუმრობით ნათქვამია, მაგრამ...

მოციქულთასწორი ნინო – მეფეთა მომაქცეველი

კაბადოკიელი ქალწული წმინდა ნინო დიდმოწამე გიორგის ახლო ნათესავად ეკუთვნოდა. იგი სახელგანთქმული პატიოსანი მშობლების: რომის მხედართმთავრის, ზაბულონისა და იერუსალიმის პატრიარქის, იუბენალის დის, სოსანას, ერთადერთი ასული იყო. როდესაც ნინოს თორმეტი წელი შეუსრულდა, მშობლებმა ყველაფერი გაყიდეს და იერუსალიმში გადასახლდნენ.

წმინდა ქალაქში მისვლის შემდეგ ნინოს მამამ, ზაბულონმა ბერად აღკვეცა გადაწყვიტა, გამოემშვიდობა ოჯახს და იორდანის გაღმა უდაბნოს მიაშურა სამოღვაწეოდ.

ქმრის წასვლის შემდეგ სოსანა იერუსალიმის პატრიარქმა იუბენალმა დიაკონისად აკურთხა, ნინო კი აღსაზრდელად მისცა მოხუც ქალს, სარა ნიაფორს.

აღმზრდელი ქრისტიანულად ზრდიდა ნინოს, უამბობდა მაცხოვრის მიწიერი ცხოვრებისა და წამების ამბავს. სარასაგან გაიგო ნინომ ისიც, თუ როგორ მოხვდა ქრისტეს კვართი წარმართთა ქვეყანაში – საქართველოში.

ამ დროიდან ნინო გულმხურვალედ ევედრებოდა ყოვლადწმინდა ღვთისმშობელს, რომ საქართველოს ნახვისა და იმ პერანგის თაყვანისცემის ღირსი გაეხადა, რომელიც თავად ღვთისმშობელმა მოუქსოვა საყვარელ შვილს. ყოვლადწმინდა ქალწულმა შეისმინა მისი ვედრება, სიზმარში გამოეცხადა და უთხრა: „წადი ჩემს წილხვედრ საქართველოში, იქადაგე იქ სახარება უფლისა იესო ქრისტესი, მოიპოვებ მისგან მადლს და მე ვიქნები შენი მფარველი“. ამაზე ნეტარმა ნინომ უპასუხა: „როგორ შემიძლია მე, სუსტ ქალს, რომ ასეთი დიდი სამსახური გავუწიო ქრისტეს და რითი შემიძლია ვერწმუნო ასეთი ჩვენების ჭეშმარიტებას?“ ყოვლადწმინდა ღვთისმშობელმა ვაზის ჯვარი მისცა ნინოს და უთხრა: „მიიღე ჯვარი ესე ფარად და მფარველად ხილულთა და უხილავთა მტერთა ზედა“. გამოღვიძებულ ნინოს, მართლაც, ჯვარი ეჭირა ხელში. მან სიხარულის ცრემლებით დაალტო და საკუთარი თმებით შეკრა იგი.

ამის შემდეგ ნინომ ბიძას, პატრიარქ იუბენალს უამბო ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სასწაულებრივი გამოცხადების შესახებ და გაუმჟღავნა სურვილი საქართველოში საქადაგებლად წასვლისა.

იუბენალმა აღსავლის კარებთან დააყენა დისწული, ხელი დაადო თავზე და უფალს შეჰლადა: „უფალო, ღმერთო მარადისობისაო, შეგავედრებ ობოლსა შვილსა დისა ჩემისასა და წარვაველინებ მას ქადაგებად ღვთაებისა შენისა, რათა ახაროს აღდგომა შენი და სადაც სასურველი იყოს შენთვის მიმოსვლა და ქადაგება მისი, ექმენ, ქრისტე ღმერთო, მას მეგზურად, ნავთსადგურად, მოძღვრად და ენის შემამეცნებლად ისე, ვითარცა იქმოდი ამას წინამორბედთა, მოშიშთა სახელისა შენისათა მიმართ“.

რომში ჩასული ნინო შეხვდა მეფის ასულ რიფსიმეს და მის დედამძუძე გაიანეს, რომლებიც ქრისტეს სჯულზე მოაქცია. ამ დროს რომის იმპერატორი იყო ქრისტიანთა სასტიკი მდევენელი დიოკლეტიანე. მას ძალზე მოეწონა რიფსიმე და გადაწყვიტა, ცოლად შეერთო იგი. წმინდა ნინო, რიფსიმე, გაიანე და მათთან ერთად ორმოცდაათი ქალწული სომხეთში გაიქცნენ.

გაბრაზებულმა დიოკლეტიანემ მალემსრბოლები აფრინა ლტოლვილთა მოსამიებლად, შემდეგ თრდატ სომეხთა მეფეს გაუგზავნა ეპისტოლე და აუწყა მომხდარი.

თრდატ მეფემ იპოვა ქალები, მოიხიბლა რიფსიმეს სილამაზით და მისი ცოლად შერთვა განიზრახა. წმინდანი არ დაემორჩილა მეფის სურვილს, რისთვისაც თრდატმა აწამა იგი დედამძუძე გაიანესა და სხვა 50 ქალწულთან ერთად.

წმინდა ნინო ვარდის ბუჩქებში დაიძალა. უფალი სხვა ღვაწლისთვის ამზადებდა ქალწულს. წმინდა ნინო საქართველოსკენ წამოვიდა. ფარავნის ტბასთან მან გაიცნო მცხეთელი მწყემსები, ისევ მიიღო ღვთისაგან ზეგარდამოლოცვა-კურთხევა „მცხეთას წარმართთა ქადაგებისა“, თანამგზავრებიც იპოვა და დიდი გაჭირვებით მოაღწია ქალაქ ურბნისამდე. წმინდანმა იქ სულ ერთი თვე დაჰყო, არმაზის კერპის თაყვანსაცემად წამოსულ ქართველებს ისიც შეუერთდა და ჩავიდა მცხეთაში.

საშინელი სანახაობა დახვდა იქ წმინდანს: ყოველი ერი შიშით ძრწოდა კერპთა წინაშე. შეწუხდა ქალწული: „უფალო, მოხედე წყალობით ამათ ზედა ნათესავთა... რათა ყოველმან ერმან მხოლოსა ღმერთსა თაყვანის-გცენ იესოს მიერ ძისა შენისა“, – შეჰღალადა მან ღმერთს. დაბერა საშინელმა ქარმა, წამოვიდა სეტყვა და შეიმუხრა კერპები. შეშინებული ხალხი სხვადასხვა მხარეს გაიფანტა.

წმინდა ნინო სამეფო ბაღის მცველის სახლში დასახლდა, უშვილო ოჯახს წმინდა ნინოს ლოცვით ღმერთმა მიჰმადლა შვილი. გახარებულმა ცოლ-ქმარმა აღიარა ქრისტე და დაემოწაფა წმინდანს. ნინოს ირგვლივ თანდათან იკრიბებოდნენ ქრისტეს სჯულის თაყვანისმცემლები. წმინდა ნინომ განკურნა სასიკვდილოდ დასნეულებული ნანა დედოფალი, რის შემდეგ დედოფალმაც აღიარა ქრისტე. ყოველივე ეს არ მოსწონდა წარმართული ტრადიციების მიმდევარ მირიან მეფეს.

ერთხელ მეფე მირიანი სანადიროდ წავიდა. მას გადაწყვეტილი ჰქონდა, მცხეთაში დაბრუნებისთანავე ამოეწვიტა ჯვარცმულის მოსავნი, მათ შორის თავად ნანა დედოფალიც, თუ ის არ დატოვებდა ქრისტეს სჯულს. ნადირობისას მოულოდნელად მზე დაბნელდა. მარტო დარჩენილი მირიან მეფე დიდხანს ამაოდ უხმობდა შემწედ კერპებს. როცა იმედი გადაუწყდა, ქრისტეს შეევედრა: „ღმერთო ნინოსაო, განმინათლე ღამე ესე და მაჩვენე საყოფელი ჩემი და აღვიარო სახელი შენი, აღვმართო ძელი ჯუარისა და თაყვანის-ვსცე მას, და აღვაშენო სახლი სალოცველად ჩემდა და ვიყო მორჩილ ნინოსა სჯულსა ზედა ჰრომთასა“. მაშინვე გამობრწყინდა მზე. გახარებულმა მირიანმა მადლობა შესწირა ქვეყნიერების შემოქმედს. მცხეთაში დაბრუნებულმა მეფემ ინახულა წმინდა ნინო და აუწყა განზრახვა.

წმინდა მოციქულთა სწორის ღვაწლით საქართველოში განმტკიცდა და აღორძინდა ქრისტიანობა.

**„თუცა ქალია, ხელმწიფედ მართ ღმრთისგან
დანაზადია“ –**

ქართველი გვირგვინოსანი ქალები

ქართველ ქალს ხშირად უწევდა ქვეყნის მმართველის მძიმე გვირგვინის ტარება. ისტორიამ შემოგვინახა სახელი არაერთი მანდილოსნისა, რომლებიც სხვადასხვა დროს საქართველოს საჭეთმპყრობელის უფლება და მოვალეობა დაეკისრათ. ისინიც ღირსეულად უძღვებოდნენ ქვეყანას.

„ქართლის ცხოვრება“ გადმოგვცემს, რომ ქართველთა მამამთავრის ქართლოსის სიკვდილის შემდეგ ქვეყანას მისი ცოლი მფარველობდა. ჭკვიან, გამგებიან ქალს ხალხი უზომო პატივს მიაგებდა, ენდობოდა, უსმენდა, ემორჩილებოდა.

მეფე ფარსმან ქველის შვილიშვილის სრულწლოვანებამდე მეფობდა ფარსმანის ცოლი ღადანა (ეს ის ფარსმანია, რომის იმპერია რომ გააოცა თავის ვაჟკაცობით, მშვენიერებით და სიჩაუქით და პატივის ნიშნად ძეგლი დაუდგეს რომაელებმა მარსის მოედანზე).

მეუღლის გარდაცვალების შემდეგ იბერიას დროებით მართავდა საგდუხტი – დედა ვახტანგ გორგასლისა.

ერთიანი საქართველოს მეფედ იჯდა დიდი თამარის ასული რუსუდანი.

სამი წლის მანძილზე მართავდა ქართლს თეიმურაზ მეორის მეუღლე თამარი.

და მინც, რამდენიმე მათგანს განსაკუთრებული პატივით გავიხსენებთ.

თამარ მეფე

1166 წელს მეფე გიორგი III-სა და მის მეუღლეს, ბურდუხანს ქალიშვილი – თამარი შეეძინათ. გიორგი მეფემ თავისსავე სიცოცხლეში იგი მეფედ გამოაცხადა. დიდებულებმა ფიცი დადეს და მუხლი მოიყარეს 12 წლის მონარქის წინაშე, რომელსაც განგებამ უბოძა მძიმე ჯვარი ერის წინამძღოლობისა.

მამა-შვილი ხუთი წლის მანძილზე განაგებდა სამეფოს. 1184 წელს მეფე გიორგი გარდაიცვალა და საქართველოს ერთადერთ მბრძანებლად და პატრონად იქცა 18 წლის თამარი.

დაიწყო დიდებით და გამარჯვებებით, აღმშენებლობით და მოღვაწეობით, უძილო ღამეებით და ცრემლიანი ლოცვებით აღსავსე გზა მონარქთა შორის გამორჩეულის, „მზეთა მზის“ და „დედოფალთა დედოფლის“, „მარავანდედთა შორის უმეტეს აღმოზრწყინებული“ თამარის მეფობისა.

ხელისუფლების სათავეში მოსვლა თამარმა საღმრთო საქმით აღნიშნა: მოიწვია საეკლესიო კრება, რომელზეც შეკრებილ მღვდელ-მთავართა და მამათა სიმრავლეს მან მდაბლად მიმართა: „გამოიძიეთ ყოველი კეთილად და დაამტკიცეთ მართალი, ხოლო განხადეთ გულარძნილი. იწყეთ ჩემ ზედა, რამეთუ შარავანდი ესე მეფობისა არს და არა ღმრთის მბრძოლობისა. ნუ თულახუამთ მთავართა სიმდიდრისათვის, ნუცა გლახაკთა უდებ-ჰყოფთ სიმცირისათვის. თქუენ სიტყვითა, ხოლო მე საქმით; თქვენ სწავლით, ხოლო მე განსწავლით; თქვენ წურთით, ხოლო მე განწურთით, ზოგად ხელი მივსცეთ დაცვად სჯულთა საღმრთოთა შეუგინებელად, რათა არა ზოგად ვიზღვივნეთ: თქუენ, ვითარცა მღვდელნი, ხოლო მე ვითარცა მეფე; თქუენ ვითარცა მნენი, ხოლო მე ვითარცა ებგური“.

ქვეყანამ იგრძნო მეფის ძლიერი ხელი. თამარმა სახელმწიფო თანამდებობებზე თავისი მომხრეები დანიშნა.

სამღვდელოებამ და დიდებულებმა თამარს მოსთხოვეს, დაქორწინებულყო და სასიძოდ შეარჩიეს რუსი უფლისწული, სუზდალის მთავრის, ანდრია ბოგოლიუბსკის ძე – გიორგი.

პირმშვენიერ გიორგი რუსს არც ვაჟკაცობა და სიმამაცე აკლდა. მისი წინამძღოლობით ქართველთა ლაშქარი მუდამ გამარჯვებული ბრუნდებოდა, მაგრამ, საუბედუროდ, მან მალე გამოამჟღავნა „სკვითურნი, ვითარ ნალებთა ბუნებითნი და სიმთვრალეთა შინა სამაგელთა უწესოებად იწყო

მრავალთა“ – გიორგი რუსს ურიცხვი განძი უბოძეს და კონსტანტინეპოლს გაისტუმრეს.

მეზობელ სახელმწიფოთაგან მრავალი მეფე იყო თამარის მშვენიერებით მოხიბლული და მისი მეუღლეობის მსურველი. ქართველთა ხელმწიფეს ქორწინება აღარ უნდოდა, მაგრამ დარბაზის ერი „წინააღმდეგობდეს, უშვილოებასა მოახსენებდეს, სახლისა მისისა უნაყოფოებასა დრტვინვიდეს“. თამარმა ყურად-ილო მამიდის, რუსუდანის რჩევა და ჯვარი დაიწერა ოვსთა მეფის ძეზე, ზაგრატიონთა, კერძოდ, გიორგი I-ის შთამომავალ დავით სოსლანზე.

საქართველოს წინააღმდეგ თურქებმა 1195 წელს, მუსლიმთა დიდი კოალიციური ლაშქრობა მოაწყვეს ადარბადაგანის ათაბაგ აბუბაქარის სარდლობით.

თამარმა სასწრაფოდ ბრძანა ქუდზე კაცის შეყრა, თანაც ანტონ ჭყონდიდელს დაავალა: ეკლესია-მონასტრებში „დაუცადებელი ღამისთევანი და ლიტანიობანი“ აღესრულებინათ, გაჭირვებულთათვის კი უხვად დაერიგებინათ მოწყალეზანი, რათა მათაც მოეცალათ ლოცვად.

ათ დღეში შეიყარა ლაშქარი. ბრძოლის წინ თამარმა სიტყვით მიმართა სპას: „ძმანო ჩემნო, ყოვლად ნუ შეძრწუნდებიან გულნი თქუნენი სიმრავლისა მათისათვის და სიმცირისა თქუნენისა, რამეთუ ღმერთი ჩუენთანა არს... მხოლოდ ღმერთსა ოდენ მიენდვენით და გულნი თქუნენი

სიმართლით იპყრენით წინაშე მისსა და სასოება ყოველი ჯუარისა მიმართ ქრისტესისა იყავნ. შეისწრაფეთ ქუეყანად მათდა შეწევნითა ყოვლად წმინდისა ღმრთისმშობელისათა და ძალითა უძლეველისა ჯუარისათა წარემართენით“.

შემდეგ მეფეთმეფემ დალოცა ლაშქარი, ღმერთს შეავედრა ქრისტესთვის თავდადებული მხედრობა, „წარუძღუნა ძელი ცხოვრებისა და თანა წარატანა ანტონი ჭყონდიდელი“. თვითონ კი „შიშუელითა ფერხითა მიიწია ტამარსა ღმრთისმშობელისასა მეტეხთა და წინაშე ხატსა მას წმინდასა მდებარე არა დასცხრებოდა ცრემლითა ვედრებად“.

უთანასწორო ბრძოლა, ციხე-ქალაქ შამქორთან, სადაც თურქნი ბევრად აღემატებოდნენ ქართველთა ლაშქარს, ქრისტიანთა გამარჯვებით დამთავრდა.

ქართველები ზედიზედ ამარცხებდნენ თურქებს. ასე რომ, XII-XIII საუკუნეების მიჯნაზე საქართველო ევროპისა და აზიის გასაყარზე გადაჭიმული უზარმაზარი სახელმწიფო იყო, რომელსაც ანგარიშს უწევდა ქრისტიანული დასავლეთი და მაჰმადიანური აღმოსავლეთი.

საქართველოს გამლიერებამ შიშის ზარი დასცა და მთელი თურქობა შეიყარა საქართველოს წინააღმდეგ. სულთან რუქნადინმა ჯარი ბასიანის ახლომახლო დააბანაკა, თამარს კი მოციქული გაუგზავნა და ჯარის სიმრავლით გათავხედებულმა ისიც კი იკადრა: სჯულის გამოცვლის

საფასურად ცოლობა შესთავაზა, ხოლო თუ თამარი ქრისტიანად დარჩებოდა, მაშინ სულთანს ხარჭად დასმით დაემუქრა. ამ მკრეხელური სიტყვების გამოგონე ზაქარია მხარგრძელმა ისეთი სილა გააწნა სულთნის მოციქულს, რომ გონდაკარგული დასცა მიწაზე.

თამარის ბრძანებით რუქნადინის გამოგზავნილი ელჩი უხვად დაასაჩუქრეს და ქართველ მოციქულთან ერთად წერილი გაატანეს სულთანთან: „... შენ ოქროსა შეკრებულთა სიმრავლისა მევირეთა მინდობილ ხარ, უმეცარი მსჯავრსა ღმრთისასა. ხოლო მე არცა სიმდიდრეთა, არცა სპათა ჩემთა სიმრავლესა, არცა რას სხუასა კაცობრივსა საქმესა მინდობილ ვარ, არამედ ძალსა ღმრთისა ყოვლისა მპყრობელისასა და შეწევნასა ქრისტეს ჯუარისასა, რომელსა შენ ჰგმობ... იყავნ ნება ღმრთისა და ნუ შენი! სამართალი მისი და ნუ შენი!“ – წერდა წმინდა მეფე სულთანს.

თამარმა ვარძიის ღვთისმშობელს შეავედრა ქართველთა მხედრობა, შემდეგ ფეხშიშველი წარუძღვა წინ და ქალაქის კარამდე მიაცილა. „მერმე თვით მიიქუა პატიოსანი... ჯუარი ხელითა თვისითა და ამხედრებულთა ზედა ყოველსა მხარსა ნიში ჯუარისა გამოსახა სამგზის, დაულოცა და ეგრეთ წარემართნეს მინდობილნი ღმრთისანი და თამარის ცრემლთანი“.

ბასიანთან ქართველებმა სასტიკად დაამარცხეს მტერი. ამ ომში ქართველთა გამარჯვებას უდიდესი მნიშვნელობა

ჰქონდა არა მარტო საქართველოსთვის, არამედ სრულიად საქრისტიანოსთვის.

ამგვარმა გამარჯვებებმა მეფეთმეფე კიდევ უფრო მეტად ღვთისმოსავი გახადა. დღისით იგი, სამეფო ბრწყინვალეობით მოსილი, ბრძნულად განაგებდა საქვეყნო საქმეებს, ღამე კი მუხლმოდრეკილი ლოცულობდა და ცრემლმდინარე ევედრებოდა უფალს საქრისტიანოს გაძლიერებას, ქსოვდა, ქარგავდა, კერავდა და თავის ნამუშავეს გლახაკებს უნაწილებდა.

ერთხელ ლოცვით და ხელსაქმით დაღლილ თამარს ჩათვლიმა და ჩვენება იხილა: ღამაზ და კეთილადნაგებ სახლში შევიდა, თვალ-მარგალიტით შემკული ოქროს ტახტი ნახა, იფიქრა: „მეფე ვარ მპყრობელი და ჩემი არს უზენაესი და უპატოსნესი ესე საჯდომი“ და გაემართა, რათა დამჯდარიყო. უცებ ნათლით მოსილმა კაცმა შეაჩერა და უთხრა: „შენი არ არს საჯდომი ისი, რამეთუ ვერ შემძლებელ ხარ დაპყრობად იმისა“. გაოცებულმა თამარმა იკითხა: „ვინ უპატოსნეს არს ჩემსა, რომელმან დაიპყრას უპატოსნესი საჯდომი?“ მან უპასუხა: „საყდარი ისი შენისა მოჯალაბისა არს, ამისთვის რომელ ათორმეტთა მღვდელთა მისთა ხელთა შესთული ჰმოსიეს, რაჟამს წარდგენ შესადრწუნებელსა და საშინელსა ტრაპეზსა შეწირვად უსისხლოსა და პატოსნისა მსხვერპლისა. ამისთვის იგი უზეშთაეს შენსა არს, დაღაცათუ შენ მეფე ხარ, კმა არს შენდა დიდება ესე, დაღათუ საყოფელი შენი აქავე არს“ და უჩვენა სხვა ადგილი.

გამოდვიძებულმა თამარმა საკუთარი ხელით დაიწყო რთვა და ქსოვა და თორმეტი მღვდელი შემოსა.

გლახაკთა და ლატაკთა უზომოდ გამკითხველი მეფე თავისი დიდი წინაპრის, კეთილმსახური მეფის, დიდი აღმაშენებლის მსგავსად თავისი ნამუშავევით გასცემდა მოწყალებას.

ისტორიამ შემოგვინახა ამაღელვებელი ამბავი წმინდა მეფის ცხოვრებიდან. ერთხელ თურმე თამარ მეფე სადღესასწაულო წირვაზე აპირებდა წასვლას გელათში და ლალებს ამაგრებდა სამეფო შემოსაკრავზე, როცა მოვიდნენ და უთხრეს, მონასტრის კოშკის კარებთან მდგომი მათხოვარი ითხოვს წყალობასო. მეფემ ბრძანა, დაეცადა მათხოვარს. როცა პალატიდან გავიდა და წყალობის გაცემა ინება, მათხოვარი ვეღარ იპოვეს. შეცბუნებული მეფე საკუთარ თავს საყვედურობდა, რომ ამ ღარიბ-ლატაკი დედაკაცის სახით უარი უთხრა თვით უფალ იესოს, მოიხსნა ის, რამაც დააბრკოლა – სამეფო შემოსაკრავი – და ღვთისმშობლის ხატს შესწირა.

თამარის დროს აშენდა კლდეში ნაკვეთი ქალაქი ვარძია, რომლის მონასტერშიც დიდმარხვას ატარებდა ღმერთშემოსილი მეფე. ამ დროს აშენდა ფიტარეთი, ქვაბთახევი, ბეთანია... წმინდა მეფემ არა მარტო საქართველოს ეკლესია-მონასტრები გაამდიდრა, არამედ უხვად შეამკო ლავრები და სავანეები პალესტინაში, კვიპროსზე, სინას მთაზე, შავ მთაზე, საბერძნეთში, ათონის

მთაზე, პეტრიწონში, მაკედონიაში, თრაკიაში, რუმინეთში, ისავრიაში, კონსტანტინოპოლში. ღვთივგაბრძნობილმა მეფემ სასტიკად აკრძალა სიკვდილით დასჯა და სხეულის დასახიჩრება.

გამუდმებულმა მარხვამ, ფეხშიშველა ლიტანიობამ და მონასტრის ქვის სარეცელზე წოლამ ჯანმრთელობა შეურყია ქართველთა სათაყვანებელ მეფეს. დიდხანს მალავდა იგი ავადმყოფობას, სხვის შეწუხებას ერიდებოდა, დღითი დღე დაუმძიმდა ჭირი და, როცა ტკივილი გაუსაძლისი გახდა, „მაშინღა განაცხადა“.

ლოცვად დადგა სრულიად საქართველო, თითოეული ქართველი საკუთარ თავს და შვილებს მიუპყრობდა უფალს და ევედრებოდა: „რათა მარტო ეს დარჩეს და ჩუენ ყოველნი მოგვსრენ“.

სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე მდგარმა მეფემ დარბაზის ერი იხმო გამოსამშვიდობებლად, შემდეგ მაცხოვრის ხატს და ცხოველმყოფელ ჯვარს შეავედრა საქართველო – „ქრისტე, დმერთო ჩემო მხოლოო, დაუსრულებელო მეუფეო ცათა და ქუეყანისაო! შენ შეგვედრებ სამეფოსა ამას, რომელი შენ მიერ მერწმუნა და ერსა ამას, პატოისნითა სისხლითა შენითა მოსყიდულთა და შვილთა ამათ ჩემთა, რომელნი შენ მომცენ, და მერმე სულსა ჩემსა“.

დღემდე საიდუმლოებითაა მოცული თამარ მეფის საფლავის ადგილსამყოფელი. ზოგიერთი ისტორიული

წყარო წმინდა მეფის საძვალედ გელათს ასახელებს, ზოგი კი, იერუსალიმის ჯვრის მონასტერს. ჩვენი ერი ლეგენდებით იკმაყოფილებს თავისი უდიდესი მონარქის მონატრებას და ამით გამოხატავს ოცნებით კავშირს წმინდა გვირგვინოსან მეფესთან და იმდროინდელ საქართველოსთან.

ქეთევან დედოფალი

წმინდა ქეთევანი იყო აშოთან მუხრან-ბატონის ასული. კეთილგონიერი და მორწმუნე ქეთევანი კახეთის მეფის, ალექსანდრეს უფროს ვაჟზე, დავითზე დააქორწინეს. მეფე ალექსანდრეს კიდევ ორი ვაჟიშვილი ჰყავდა – გიორგი და კონსტანტინე. სამეფო ტახტი კანონით დავითს ეკუთვნოდა, მამა კი გიორგის ამზადებდა მემკვიდრედ, რის გამოც ძმები ერთმანეთს ხშირად ექიშპებოდნენ. კონსტანტინე შაჰ-აბასის კარზე იზრდებოდა ბავშვობიდანვე და რჯულიც გამოცვლილი ჰქონდა.

ალექსანდრე მეფე ბერად აღიკვეცა ალავერდის ტაძარში. ტახტზე დავითი ავიდა, მაგრამ ოთხიოდ თვეში, 1602 წელს, მოულოდნელად გარდაიცვალა. დაქვრივებულ ქეთევანს დარჩა ქალ-ვაჟი – თეიმურაზი და ელენე. ალექსანდრე კვლავ სამეფოს დაუბრუნდა. ქვეყნის არეულობისა და სხვადასხვა საშიშროების გამო ქეთევანმა თეიმურაზი შაჰ-აბასთან გაგზავნა.

შაჰ-აბასმა, როგორც კი დავითის სიკვდილი და ალექსანდრეს დაბრუნება შეიტყო, თავის კარზე აღზრდილ

გამაჰმადიანებულ კონსტანტინე-მირზას უბრძანა, წასულიყო კახეთში, მოეკლა მოხუცებული მამა, ღვიძლი ძმა გიორგი და თვითონ ასულიყო კახეთის სამეფო ტახტზე.

გამხეცებულმა კონსტანტინე-მირზამ შეასრულა ბრძანება, შემდეგ მამისა და ძმის მოკვეთილი თავები, ვითარცა ძვირფასი ძღვენი, „მამობილს“ გაუგზავნა, მათი გვამები კი აქლემებს აჰკიდა და ალავერდს გაგზავნა დასამარხად. ქეთევანმა პატივით დაკრძალა მამამთილისა და მაზლის ცხედრები.

სისხლში გასვრილმა კონსტანტინემ ქეთევანს ცოლობა სთხოვა: „შეგირთავ ცოლად და შენც მორჩილ მექმენ, რამეთუ ესრეთ არს წესი და ჩუეულება სჯულად მაჰმადისაო“.

ამ ამბით შეძრწუნებული კახეთის დიდებულები შეიკრიბნენ, მიუვარდნენ რჯულისა და ტრადიციების შემაგინებელს და სიცოცხლეს გამოასალმეს. ქეთევანმა ურწმუნო კონსტანტინეს გვამი გვარისთვის შესაფერი პატივით დაკრძალა, შაჰს დიდძალი ძღვენი გაუგზავნა და სთხოვა, მეფედ თეიმურაზი დაემტკიცებინა. მანამდე კი, დროებით, თვითონ იტვირთა სამეფოზე ზრუნვა.

შაჰ-აბასი შეშინდა: კახეთი განმიდგება, ქართლს შეუერთდება და საბოლოოდ დავკარგავო, ამიტომ სასწრაფოდ დიდი პატივით დააბრუნა საქართველოში უფლისწული თეიმურაზი.

შაჰ-აბასმა 1614 წელს ელჩი გამოუგზავნა თეიმურაზს და ერთგულების ნიშნად შვილი სთხოვა მძევლად. იცოდა თეიმურაზმა შაჰის ვერაგობა, მაგრამ უმცროსი ვაჟი, ალექსანდრე მაინც გაგზავნა სპარსეთში, თან დედაც – წმინდა ქეთევანიც გააყოლა: „ჰგონებდა პატივისცემასა დედისასა შაჰ-აბასისაგან“. შაჰმა ჯერ უფროსი შვილი, ლევანი ითხოვა, შემდეგ თეიმურაზსაც შეუთვალა: „რადგან ამისთანა ერთგული კაცი ხარ, შენც მოდი და მნახეო“.

ყველასათვის ნათელი გახდა შაჰის სურვილი: მას სურდა, კახეთის სამეფო კარისთვის ერთად მოეყარა თავი და ერთიანად შეემუსრა. დრო აღარ ითმენდა. თეიმურაზი და ლუარსაბი შეითქვნენ და გაერთიანებული ძალებით ძლიეს ჟალეთში დაბანაკებულ მტერს.

შემდგომ დაიწყო ქართლის ცხოვრების უსაშინლესი პერიოდი. კახეთის დასალაშქრად გამზადებულმა შაჰ-აბასმა ძვირფასი მძევლები – წმინდა ქეთევანი და მისი შვილიშვილები – შირაზს გაგზავნა, თვითონ კი კახეთს შეესია. მტერმა ააოხრა სამეფო კარი, შერყვნა ეკლესია-მონასტრები, გადაასახლა და დააცარიელა სოფლები. ქვეყანა შიმშილმა და ძალადობამ მოიცვა. უსჯულოებმა ცეცხლს მისცეს კახეთი. სამასი ათასზე მეტი ქართველი სპარსეთში გადაასახლეს, გაუდაბურებულ ქვეყანაში კი ულუსები ჩამოასახლეს.

დამარცხებული მეფეები იმერეთის მეფეს, გიორგის შეეხიზნნენ.

შირაზს გადასახლებიდან ხუთი წლის შემდეგ შაჰმა ქეთევანს ჩამოაშორა თეიმურაზის ძენი, ისპაანს წაიყვანა და დაასაჭურისა. ალექსანდრემ ტანჯვას ვერ გაუძლო და გარდაიცვალა, ხოლო ლევანი შეიშალა.

სამშობლოს ხვედრით შეძრწუნებული წმინდა დედოფალი შირაზის მმართველის, გათათრებული ქართველის იმამ-ყული-ხან უნდილაძის სასახლეში ცხოვრობდა. ნაქართველარი თათარი დიდი პატივით ეპყრობოდა ქეთევანს, მისი ბრძანებით წმინდა დედოფალს არ უმხელდნენ, თუ რა საშინელი ბედი ეწიათ ბატონიშვილებს – ლევანსა და ალექსანდრეს.

ათი წელი იტანჯებოდა დედოფალი „საპატიო“ ტყვეობაში. მარხვით, ლოცვით, ქვაზე წოლით გაილია ნეტარის სხეული. მაინც მხნედ იყო, უვლიდა, ზრუნავდა, ზედ დაჰფოფინებდა თავის სამწყსოს – მის განმგებლობაში მყოფ ოციოდე ქართველს.

უსჯულო აბასმა გადაწყვიტა, რჯული გამოეცვლევინებინა ქეთევანისათვის. მისი უზნეობა და თავხედობა იქამდეც მივიდა, რომ ცოლობა სთხოვა ზნესრულ დედოფალს და ეს მოხდა სწორედ იმ დღეს, როცა წმინდანმა თავისი შვილიშვილების ბედი შეიტყო.

შაჰმა იმამ-ყული-ხანს შეუთვალა, ქეთევან დედოფალი თუ გათათრდეს, ნურას აწყენ და თუ არ გათათრდეს, აწამე და სასჯელით მოჰკალიო. შეძრწუნდა უნდილაძე, შეევედრა

დედოფალს, სხვის დასანახად მაინც აღიარე მაჰმადი, გულში კი ქრისტიანად დარჩიო. წმინდა ქეთევანმა შორს დაიჭირა უნდილაძის ნათქვამი და წამებისათვის განემზადა.

ხალხით გადაჭედებულ მოედანზე გამოიყვანეს ქართველთა სათაყვანებელი დედოფალი, რომელსაც მგლოვიარე ქართველები მოაცილებდნენ. ჯალათებმა მოიტანეს სპილენძის ქვაბები, დაანთეს ცეცხლი, შეაწყვეს შიგ შანთები გასახურებლად და სადღესასწაულოდ შემოსილი დედოფალი კოცონის წინ დააყენეს. მხოლოდ ერთი რამ ითხოვა წმინდა მოწამემ: „დედის ნაშობნი ხართ თქვენც, ნუ შეურაცხმყოფთო სიშიშვლით“.

უსჯულოებმა ენით აუწერელი სისასტიკით აწამეს ქართველთა დედოფალი: გახურებული რვალის ქვაბი დაამხვეს თავზე, რკინის მარწუხებით დააგლიჯეს ძუძუები, გავარვარებული შამფურები გაუყარეს მკერდიდან ზურგში, ფრჩხილები დაადრეს, ხორცი დააგლიჯეს, ლურსმნიანი ფიცარი დააჭედეს, ბოლოს კი გახურებული ბარით შუბლი გაუპეს.

წმინდა სულმა დატოვა ნაგვემი სხეული. გამძვინვარებულმა ჯალათებმა ნადირთა სათრევად დააგდეს წმინდა დედოფლის გვამი, რომ შეეხილწათ მისი სიწმინდე, მაგრამ ღმერთმა მოავლინა სასწაული: წმინდანის ნემტს ნათელი დაადგა.

წამების მხილველმა ფრანგებმა წმინდა დედოფლის ნაწილები დიდი პატივით წაასვენეს, საკმევლით და მურით

გაჟღერებულ ქსოვილში გაახვიეს და კათოლიკურ მონასტერში დაასვენეს. რამდენიმე ხნის შემდეგ კი კახეთის მეფეს, თეიმურაზს გამოუგზავნეს თავისი წმინდა დედის თავი მკლავთან და სხვა ნაწილებთან ერთად.

თეიმურაზმა კიდევ ერთხელ დაიტირა თავისი დედა და ძენი, შემდეგ კი პატივით და დიდებით დაკრძალა ალავერდის წმინდა გიორგის ტაძარში.

მარიამ დადიანი

სამეგრელოს მთავრის მანუჩარ დადიანის ასულს და ლევან II დადიანის დას, მარიამს თავიდანვე განსაცდელეებში უწევდა ცხოვრება, მაგრამ მთელი სიცოცხლის მანძილზე ის თავისი გამჭირავებით, სიბრძნით, დიდბუნებოვნებით, საკუთარ პრობლემათა უკანა პლანზე გადაწევით, საქვეყნო საზრუნავზე მიყურადებელი ცხოვრობდა.

მარიამ დადიანი გურიის მთავრის მამია მესამის ძის სვიმონის მეუღლე იყო და მისგან ეყოლა შვილი ოტია (მის დედობრივ ტრაგედიას მეოცე საუკუნეში შეეხმიანა ასევე ტრაგიკული ტიციან ტაბიძე გულშიჩამწვდომი სიტყვებით: „...ზღვათა მეფის, დადიანის ქალს არ მოჰკვდომოდა შვილი ოტია...“). 1625 წელს გურიის სამთავრო ტახტზე საშინელება დატრიალდა – გვირგვინზე მეოცნებე სვიმონ გურიელმა მოკლა თავისი მამა, მთავარი მამია და სამთავრო ტახტზე თვითონ დაბრძანდა.

ლევან დადიანმა სასწრაფოდ წაჰგვარა თავისი და ქმარს და მამის მკვლელი სასტიკად დასაჯა. ძნელი წარმოსადგენი არ არის, როგორი შემზარავი იქნებოდა მარიამისთვის ქმრის ასეთი უღირსი საქციელი, შემდეგ კი ძმის მიერ საკუთარი მეუღლის თვალების დათხრა.

შემდგომ პოლიტიკური მიზნების გამო მარიამი მისთხოვდა გამაჰმადიანებულ ქართველ უფლისწულს, ირანის შაჰის სეფი პირველის მიერ ქართლის სამეფო ტახტზე აღზევებულ როსტომ-ხანს.

გონიერმა, სამშობლოს მოყვარულმა ქალმა ქორწინების აუცილებელ პირობად როსტომ-ხანთან ქრისტიანული შეუღლება და თანამოსაყდრეობა მოითხოვა.

დამეთანხმებით, უპრეცედენტო შემთხვევაა – ოდიშის მთავრის და ცოლად მიჰყვება ირანის შაჰის მიერ წყალობამინიჭებულ, მის ერთ-ერთ უერთგულეს და პატივდებულ მოხელეს (როსტომი იყო სპარსეთის მონასპის სარდალი, ისპაჰანის ტარულა, ქართლის მეფე. შაჰი მას მამას უწოდებდა) და მოითხოვს და იღებს კიდევ, რომ სპარსეთის ერთ-ერთი დიდმოხელე ქრისტიანულად მოინათლოს, შემდგომ კი მისი თანამოსაყდრე გახდეს, ანუ მეფის უფლებებით აღიჭურვოს.

შემორჩენილია უამრავი დოკუმენტი, რომელიც გვარწმუნებს, რომ მარიამ დედოფალი ქართლში ჩასვლისთანავე გამხდარა მეფის ხელისუფლების მოზიარე,

მეფის უფლებებით აღჭურვილი და ის ამ უფლებებს კეთილშობილური მიზნებისთვის იყენებდა – არიგებდა მტრებს, ეხმარებოდა გაჭირვებულებს, იღვწოდა ქვეყნის კეთილდღეობისათვის, ქრისტიანობის გაძლიერებისათვის, კულტურის განვითარებისათვის. ამ პერიოდში (1645 წელს) მარიამს გარდაეცვალა ვაჟი. ფარსადან გორგიჯანიძის ცნობით, ოტიას გარდაცვალების პირველ ხანებში მარიამ დედოფალი ყოფილა „ვითარცა მკვდარი“.

როსტომ-ხანის გარდაცვალების შემდეგ ახალი განსაცდელი დაატყდა თავს დედოფალს – ირანის იმჟამინდელმა შაჰმა აბას მეორემ ქართლის მეფედ შაჰნავაზი (ვახტანგ მეხუთე) დაამტკიცა და ბრძანა, მას ცოლად მარიამ დედოფალი შეერთო. სათნო და კდემამოსილი მარიამისთვის ეს წინადადება საშინელი მოსასმენი იყო, მაგრამ იძულებული გახდა სამშობლოს უმაღლესი ინტერესებიდან გამომდინარე მისთვის მიუღებელი, მაგრამ აუცილებელი ნაბიჯი გადაედგა. ეს იყო ერთადერთი საშუალება ქვეყნის იავარქმნილი მეურნეობის აღორძინებისა, ეკლესიის გაძლიერებისა, ქრისტიანული სარწმუნოების, როგორც ქართველობის შენარჩუნებისათვის ბრძოლის ზნეობრივი საყრდენის განმტკიცებისა და აღორძინების გზაზე მდგარი ეროვნული კულტურის განვითარების ხელშეწყობისა.

ქართლის ხელისუფალთა მედგარმა და თანმიმდევრულმა მოღვაწეობამ ქვეყნის მეურნეობის აღდგენის საქმეში შედეგი გამოიღო. უამრავი „ნაოხარი“,

„უმენი“, „პარტახი“ ადგილებისა და გაუკაცრიელებული სოფლების აღდგენა-დასახლებამ, ახალი გზებისა და ხიდების მშენებლობამ, ახალი ქალაქების დაარსებამ, ძველი სარწყავი არხების აღდგენამ და ახლების გაყვანამ გამოიწვია ქვეყნის განვითარება და გამდიდრება.

მარიამ დედოფალმა უდიდესი წვლილი შეიტანა ეკლესიის აღორძინებისა და გაძლიერების საქმეში – აღადგინა ეკლესია-მონასტრები, დააარსა ახალი, საფასე დაუდგინა და გამდიდრა სვეტიცხოველი, იერუსალიმის ჯვრის ქართველთა მონასტერი, აღადგინა დავით-გარეჯის დაზიანებული ნაგებობები, სახელმწიფო გადასახადებისაგან გაათავისუფლა ქრისტიანული ეკლესიები, ყმა-მამულები უბოძა მათ, გადაანუსხვინა და გაამრავლებინა ქართული ხელნაწერები. მარტო „ქართლის ცხოვრების“ მარიამისეული ნუსხაც საკმარისია, რომ ამ დიდებულ ქალბატონს სამარადისო ადგილი მიუჩინოს შთამომავლობამ საქართველოს ისტორიაში.

პირად ცხოვრებაში უბედური ქალი, შვილი, დედა, მეუღლე თავისი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე გულში იკლავდა ტკივილს და მხნედ უძღვებოდა ქვეყანას. ქართული ბალადის შვილის მკვლელი დედის ტკივილის მოზიარე მოყმის დედის მსგავსად დასტიროდა მტერ-მოყვარეს და ცდილობდა მშვიდობა ჩამოეგდო დაპირისპირებულ მხარეთა შორის.

ქართველი ისტორიკოსის ბერი ეგნატაშვილის სიტყვებით, „დედოფალი მარიამი იყო ყოვლითურთ შემკული კეთილთა, რომლისა მსგავსი თამარ მეფისა შემდგომად არღარავინ ყოფილა“.

მეფეთა მამხილებელი დედები

ქართველ ქალს ყოველთვის წარმმართველი ადგილი ეჭირა ქვეყნის ცხოვრებაში. თვით ეკლესიური ცხოვრების მკაცრი წესიც არ უარყოფს ქალის ფუნქციას საზოგადოებისა თუ სამონასტრო ერთობის მართვის საქმეში.

ფებრონია წინამძღვარი

ქართველ სასულიერო მოღვაწე ქალთა მრავალრიცხოვან დასში განსაკუთრებული დიდებით ბრწყინავს საქართველოს სულიერი მამის, უდაბნოთა ქალაქის მყოფელის, მამათა შორის აღმატებული გრიგოლ ხანძთელის სულიერი დის, მისი თანამებრძოლისა და თანამოსაგრის, მერეს დედათა მონასტრის წინამძღვრის ფებრონიას სახელი.

სამცხელი ფებრონია და გრიგოლ ხანძთელი „ერთზრახვა და მეგობარ იყვნეს“. ფებრონიას ზრუნვით და შრომით განახლდა მერეს მონასტერი, აღორძინდა და იმდენად დიდი სახელი მოიპოვა, რომ სახელმწიფო საქმიანობაშიც კი იღებდა მონაწილეობას.

ამ ჭკვიანი ქალის დაუკითხავად მნიშვნელოვან საეკლესიო საკითხებს არ წყვეტდნენ წმინდა მამები. ფებრონიას სიწმინდესა და სიბრძნეზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ წმინდა მამათა კრებული „თვინიერ დედისა ფებრონიას განზრახვისა საქმესა არა ხელ-ჰყოფდა“.

დედა ფებრონიას პატივი დასდეს დასწრებოდა ანჩის დიდ კრებას, სადაც მნიშვნელოვანი საეკლესიო და საერო საკითხები განიხილებოდა.

დედა ფებრონიას ავტორიტეტი იმდენად დიდი იყო, რომ ის აქტიურად ჩაერია თვით აშოტ კურაპალატის ცხოვრებაში. სახელმწიფოს სიწმინდისა და ზნეობის დასაცავად თვით „ძლიერთა ამა სოფლისათა“ არ დაერიდა და მკაცრად ამხილა.

პირუთვნელი ჰაგიოგრაფი მოგვითხრობს, რომ ზნეკეთილ, ქვეყნისთვის თავდადებულ, ოჯახის ერთგულ აშოტ კურაპალატს ემშაკისეული ცდუნებით სიძვის დიაცი შეუყვარდა „გარდარეული სიყვარულით“. წმინდა გრიგოლ ხანძთელმა უჩუმრად წარგვარა მეფეს ქალი და ფებრონიას მიუყვანა მერეში. როცა აშოტი ფებრონიასთან მივიდა და

მოსთხოვა გადაეცა მისთვის სასახლის განძეულის დარაჯი ქალი, ფებრონიამ დაურიდებლად ამხილა გვირგვინოსანი და უთხრა: „მიზეზებად მიზეზთა ცოდვისათა კაცთა თანა, რომელნი იქმან უშჯულოებასა“. სულით მაღალი, ზნეობისთვის შეუპოვრად მებრძოლი მონაზვნის სიტყვებმა შეარცხვინა უძლეველი მეფე და ინატრა: „ნეტარ მას კაცსა, ვინ არღარა ცოცხალ არს“.

სუსტი ქალის ნებამ სძლია ამა ქვეყნის უფლის, მეფის სურვილს. ამ ძლევით აღფრთოვანებული გიორგი მერჩულე აღნიშნავს: „ხორციელად ძლიერსა ხელმწიფესა სულით ძლიერთა კაცთა სძლიეს“.

ასე შორს მიდის საქართველოში მამაკაცსა და ქალს შორის ჯანსაღი, სწორი, გონიერი თანასწორობის ფესვები.

ანასტასია ბევრეულყოფილი

ფებრონია წინამძღვრის თანამოაზრე და თანამოსაგრე იყო „ღირსი დედოფალი“, ადარნასე კურაპალატის მეუღლე ბევრეული.

ქმრის ღალატით შეურაცხყოფილი ბევრეული არ დაერიდა საზოგადოებრივ აზრს, არ ინება, სამეფო გვირგვინი და სარეცელი გაეყო უღირს ადამიანთან, განეშორა მას და ფერსათის დედათა მონასტერში აღიკვეცა მონაზვნად ანასტასიას სახელით.

ანასტასია-ბევრეული სისპეტაკისთვის თავდადებული ადამიანი იყო. ის თამამად ილაშქრებდა ყოველგვარი ბოროტების წინააღმდეგ, მკაცრად იცავდა საზოგადოებრივ მორალს და პატიოსნებას, დაურიდებლად კიცხავდა თავის გვირგვინოსან მეუღლეს.

საზოგადოდ უნდა აღინიშნოს, რომ გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ ზედმიწევნით აღწერს VIII-IX საუკუნეების საქართველოში მიმდინარე ისტორიულ მოვლენებს, საზოგადოებრივი ცხოვრების წესებს და, მიუხედავად თხზულების მკაცრად განსაზღვრული ხასიათისა და ფორმისა, მასში ვხვდებით ქალის ფუნქციისა და მისადმი ამაღლებული პატივისცემის არაერთ ეპიზოდს.

ქართველი დიპლომატი ქალები

უკიდევანოა ქართველი ქალის დამსახურება და როლი საქართველოს საზოგადოებრივ თუ პოლიტიკურ ცხოვრებაში. ხშირად მათი სახელი, სიბრძნე, კდემამოსილება იქ ჭრიდა, სადაც მამაკაცების შესაძლებლობა უძლური იყო. ქვეყნისთვის უმძიმეს წუთებშიც ქართველი დედები, დები, მეუღლეები, ასულები დიპლომატიურ მოღვაწეობასაც

ეწეოდნენ, მოწინააღმდეგის ბანაკში მიდიოდნენ და სამტროს მოღერებულ მახვილს ქარქაშში მიუჩენდნენ ადგილს.

მარიამ დედოფალი – მეუღლე გიორგი პირველისა

გიორგი პირველი ახალგაზრდა ასაკში გარდაიცვალა, მაშინ ტახტის მემკვიდრე ბაგრატის მხოლოდ ცხრა წლისა იყო. მეფის გარდაცვალების უმალ იჩინა თავი „ბუნებითმა“ ჭირმა. მცირეწლოვან მეფეს განუდგნენ ურჩი ფეოდალები და ბიზანტიის კეისარი კონსტანტინე აამხედრეს საქართველოს წინააღმდეგ. ბიზანტიელმა დამპყრობლებმა იავარ-ყვეს სამხრეთ საქართველო.

დადგა ჟამი, როცა ხმლით დაშორებული და დაპირისპირებული მხარეები ქალის მანდილს უნდა შეერიგებინა და 1032 წელს ბაგრატის დედა მარიამი ბიზანტიაში გაემგზავრა დიპლომატიური მისიით.

გონიერი, დიდებული მანდილოსნის ელჩობამ შედეგი გამოიღო – ბერძენთა მეფემ რომანოზმა მარიამს ყველა სათხოვარი აღუსრულა – მისცა ერთობის და სიყვარულის ფიცი, ბაგრატს კურაპალატის სახელო უბოძა და ურთიერთობის შემდგომი გამყარების მიზნით ასული ელენეც გამოაყოლა სარძლოდ.

საქართველოში დაბრუნებულმა მარიამმა ბაგრატი დააქორწინა ელენეზე და ბერძენ-ქართველთა გამწვავებული ურთიერთობა მოყვრობით შეცვალა.

სახელმწიფოთა შორის მშვიდობა დიდხანს არ გაგრძელებულა. ბაგრატის მეუღლე ელენე ერთი წლის შემდეგ გარდაიცვალა. საქართველოსა და ბიზანტიის ურთიერთობა კვლავ გამწვავდა და მარიამ დედოფალი 1050 წელს კვლავ გაემგზავრა კონსტანტინეპოლში სახელმწიფო საქმეებზე მოსალაპარაკებლად. კონსტანტინე მონომახმა, იმჟამინდელმა მეფემ, დიდი პატივით მიიღო მარიამი, მაგრამ სამი წლის მანძილზე არც თხოვნა შეუსრულა და არც საქართველოში დააბრუნა. ტყვეთა განმათავისუფლებელი დედოფალი თავად იქმნა ტყვედ. აქ კი სხვა ქალებმა გამოიღეს ხელი – ბაგრატის მეუღლემ ბორენამ და მისმა დამ – გურანდუხტმა წერილობითი დიპლომატიური მოლაპარაკება გამართეს ბიზანტიის იმპერატორთან, რასაც მოჰყვა მარიამის გათავისუფლება.

საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ მარიამმა ზრუნვა დაიწყო საეკლესიო საქმეების მოსაგვარებლად და ათონის მთიდან მოიწვია წმინდა გიორგი მთაწმინდელი, რომელმაც საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ მთელი რიგი საეკლესიო ღონისძიებები განახორციელა. ბუნებრივია, წმინდა მამას კულტურულ-საეკლესიო მოღვაწეობაში დიდად უწყობდა ხელს ბრძენი მარიამ დედოფალი.

რუსუდან დედოფალი – ასული დემეტრე მეფისა

დიდი დავით აღმაშენებლის შვილიშვილი, დემეტრე პირველის ასული რუსუდანი ხორასნის სულთნის მეუღლე იყო. დაქვრივების მერე რუსუდანი სამშობლოში დაბრუნდა და თავის ძმას გიორგი მესამეს ამოუდგა მხარში დიდი პაპის დანატოვარი ქვეყნის გონივრულად მართვაში.

რუსუდანი კარგი პოლიტიკოსი და დიპლომატი ყოფილა. მას სახელმწიფო საქმეების გადაწყვეტაში ყოველთვის გადაწყვეტი სიტყვა ეთქმოდა. მისი გონიერების წარმოსადგენად ისიც კი კმარა, რომ დიდი თამარი ღირსეული მამიდის გაზრდილი იყო. რუსუდანის კარზე იზრდებოდა თამარის მომავალი მეუღლე დავით სოსლანი.

1162 წელს გიორგი მესამემ მცირე აზიის სულთნები და მეომრები დაამარცხა. მეფემ მოწინააღმდეგეებთან ზავის დასადებად რუსუდანი გაგზავნა. დედოფალმა დავალება პირნათლად შეასრულა, მოწინააღმდეგე ქვეყნები დააწყნარა და მშვიდობიანობა ჩამოაგდო.

გიორგი მესამის გარდაცვალების შემდეგ რუსუდანი სახელმწიფოს მართვაში ეხმარებოდა თავის გაზრდილ თამარს. გაჭირვებულთა და ლატაკთა შემზრალეული დედოფალი საყოველთაო სიყვარულით სარგებლობდა.

კრავაი ჯაყელი და ხუაშაქ ცოქალი

სხივგვირგვინოსანი თამარის ტახტზე ასვლა XII საუკუნის ფეოდალურ სამყაროში გამაოგნებელი მოვლენა იყო. დიდებულებმა გამოჩინებით აკურთხეს მეფე, მაგრამ საკუთარი მოთხოვნებიც წაუყენეს. მეჭურჭლეთუხუცესმა ყუთლუ-არსლანმა მეფის სასახლის გვერდით ისანში „კარვის“ დაარსება მოითხოვა. ყოველი სახელმწიფო-საკანონმდებლო საკითხი მხოლოდ ამ „კარავში“ განხილვისა და მიღების შემდგომ უნდა მისვლოდა მეფეს დასადასტურებლად და ხელის მოსაწერად (აი, რა დროიდან იწყება საქართველოში ფიქრი ქვეყნის საპარლამენტო მოწყობაზე!!!)

თამარი ხელალებით ვერ დათმობდა ღვთისგან მინიჭებულ მოვალეობას ქართველი ერის მწყემსვისა. არც მისი მომხრეები ისხდნენ გულხელდაკრეფილნი. ჰაერში სამოქალაქო ომის სუნი დატრიალდა.

სიბრძნით ყოველთა ხორციელთა აღმატებულმა თამარმა ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება მიიღო. მან კარგად იცოდა, თუ როგორი კრძალვით და პატივით ეპყრობოდნენ ქართველები ქალს, მის შეუვალ სიტყვას, წმინდა მანდილს და საომრად გამზადებულ მოწინააღმდეგეთა ბანაკში ორი დიდებული ქალბატონი გაგზავნა – ხუაშაქ ცოქალი და კრავაი ჯაყელი – ქართლის ერისთავთერისთავის რატი სურამელის დედა და „დედა აწ მყოფთა სამძივართა“.

მანდილოსანმა მოციქულებმა ყუთლუ-არსლანის დასელებს გადასცეს თამარის ფიცი, – მონანიეთ შეივრდომებდა და დანაშაულისთვის არ დასჯიდა, მათ მოთხოვნებსაც აწონ-დაწონიდა. გონიერმა ქალბატონებმა დაარწმუნეს მოჯანყეები, რომ ქვეყნის შეგნით დაპირისპირება მხოლოდ გარეშე მტრის წისქვილზე ასხამდა წყალს, არც ღვთივდადგენილი მეფის ღალატს შეუნდობდა ხალხი და შთამომავლობა, არც ძმათა სისხლით სულის დამძიმება წაადგებოდა უკუთესი მომავლისათვის მებრძოლ შეთქმულებს.

გამჭრიახი მანდილოსნების ღვაწლმა შედეგი გამოიღო. ამბოხებულებმა იარაღი დაყარეს, თამარ მეფეს მიეახლნენ, შენდობა სთხოვეს და ერთგულების ფიცი მისცეს. თავის მხრივ თამარიც დაჰპირდა „დარბაზის“ უფლებების გაფართოებას.

კრავაი ჯაყელის და ხვაშაქ ცოქალის სიბრძნემ და გამჭრიახობამ განაპირობა ქართველ დიდებულთა ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი აჯანყების მშვიდობიანად დასრულება.

გულჩარა

უცხოურმა წერილობითმა წყაროებმა შემოგვინახეს საოცარი ისტორია ქართველი დიპლომატი ქალისა, რომლის აქტიური მონაწილეობით 1612 წელს ოსმალეთსა და ირანს

შორის ზავი დაიდო. ამ ქალბატონის, ქართველი გულჩარას შესახებ ცნობებს გვაწვდიან აღმოსავლელი და ევროპელი სწავლულები: ისკანდერ მუნში, ანტონიო გოვეა, ავგუსტინო ნანი, ბარონი დე სალინიაკი, ჰამერი, ბელოკუროვი.

1600 წელს ქართლის მეფე სვიმონ პირველი ოსმალებმა ტყვედ ჩაიგდეს, სტამბოლში ჩაიყვანეს და იედი კულეში გამომამწყვდიეს.

ქართველებმა ენერგიული ზომები მიიღეს სვიმონ მეფის დასახსნელად და სტამბოლში გაგზავნეს დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში იყო გიორგი მეთის ასული გულჩარა და მისი ძმა დავითი.

ისკანდერ ბეგ თურქმანის გადმოცემით, გულჩარა დაუახლოვდა სულთან მეჰმედის დედას, რომელსაც დიდი გავლენა ჰქონდა სასახლის კარზე, და მოხერხებული ქცევით და წესიერი სამსახურით მისი ნდობა დაიმსახურა.

გულჩარას სილამაზეზე, გონიერებაზე, დიპლომატიურ ნიჭზე აღფრთოვანებით საუბრობენ მაშინდელი სულთნის კარზე მყოფი საფრანგეთის, პორტუგალიის, ვენეციის ელჩები.

სულთანმა და მისმა დედამ ირანთან მოლაპარაკება ტყვეობაში მყოფ სვიმონ მეფეს მიანდეს. პორტუგალიის ელჩის ანტონიო გოვეას ცნობით, მეფე გაათავისუფლეს და გულჩარასთან ერთად შაჰ-აბასის კარზე გააგზავნეს.

სვიმონ მეფე და გულჩარა 6-7 დღის გამგზავრებულები იყვნენ, როცა სულთანმა მეფე უკან გამოიწვია და ირანში მხოლოდ გულჩარა გაემგზავრა. ის მთელი ენერგიითა და მონდომებით შეუდგა ძნელი დიპლომატიური მისიის შესრულებას. საზავო პირობების შეთანხმების მიზნით გულჩარა რამდენჯერმე შეხვდა სულთანს და შაჰს.

1612 წელს კი დიდი ხნის ნანატრ საზავო ხელშეკრულებას ხელი მოეწერა.

ავსტრიელი ისტორიკოსის ჟ. ჰამერის „ოსმალეთის იმპერიის ისტორიაში“ აღნიშნულია, რომ „ქართველმა ქალმა შეათანხმა ზავი ოსმალეთსა და ირანს შორის“. ოსმალეთის ისტორიის მკვლევრის ა. ლამარტინის სიტყვებით „საქართველოს ელჩმა... თავისი სილამაზით, ბრწყინვალეობითა და მჭევრმეტყველებით კონსტანტინეპოლი განაცვიფრა“.

გულჩარას ენერგიული დიპლომატიური მოღვაწეობის შედეგად შეწყდა სისხლისმღვრელი ომი, რომელსაც მძიმედ განიცდიდნენ არამართო ირან-ოსმალეთის, არამედ ამიერკავკასიის ქვეყნებიც, განსაკუთრებით კი – საქართველო.

თამარ ბაგრატიონი

თამარი – ქართლის მეფის ვახტანგ მეექვსის და, იყო ერეკლე მეორის დედა. მან თავისი ნიჭითა და მტკიცე ხასიათით ქართლსა და კახეთში მოიხვეჭა დიდი სახელი,

როგორც პოლიტიკურ და დიპლომატიურ საქმეებში გაწვრთნილმა ქალბატონმა. მან თავისი მოხერხებულობით რამდენჯერმე იხსნა ქვეყანა განსაცდელისაგან.

თამარი ქართლ-კახეთის ერთობის საწინდრად დააქორწინეს კახეთის მეფეზე – თეიმურაზ მეორეზე. თამარმა უდიდესი როლი ითამაშა მაშინდელი საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის სწორად წარმართვაში.

ნადირ-შაჰმა ხელშეუხებლობის საწინდრად უმძიმესი ხარკი მოითხოვა. სპარსელებმა დახარკეს საქართველოს ყველა სოფელი, ყოველი ხე და ვაზის ძირი. გადასახადი დაუწესეს ყოველ მამაკაცს ათი წლის ასაკიდან. საქართველოს თვითონ არაფერი ებადა, შიმშილისაგან წელში წყდებოდა. თეიმურაზმა თამარ დედოფალი გააგზავნა შაჰთან ელჩად. დედოფალმა დამაჯერებელი სიდარბაისლით გადაუშალა სპარსეთის მზრძანებელს ქვეყნის მძიმე მდგომარეობა და დაარწმუნა, რომ შაჰის ბრძანების დაკმაყოფილება შეუძლებელი იყო ქართველი ხალხის სიღატაკის გამო. გონიერმა მანდილოსანმა დაუმტკიცა ნადირ-შაჰს, რომ საქართველოში მისი მოწინააღმდეგეები არ იყვნენ. თამარის გამჭირახმა, დიპლომატიურმა საუბარმა გული მოუღობო შაჰს და ხელი ააღებინა ქართლ-კახეთის დალაშქვრაზე. ნადირ-შაჰი ისე იყო აღფრთოვანებული თამარის გონიერებით, რომ ქართლის გამგებლად კი დაამტკიცა. მოგვიანებით თამარის თხოვნით შაჰმა ქართლის სამეფო თეიმურაზს გადასცა, კახეთი კი – ერეკლე მეფეს. ამ წინდახედული

ნაბიჯით თამარმა შეძლო ქართლ-კახეთის გაერთიანება. მართალია, თეიმურაზ მეორემ ქართლის მეფობა თამარ ბატონიშვილის თხოვნით მიიღო, მაგრამ ქართლის ოფიციალურ გამგედ სიკვდილამდე ისევ თამარი რჩებოდა.

საოცრად დიდბუნებოვანი იყო თამარი. განდგომილი გივი ამილახვარი მხოლოდ თამარის სიტყვას ენდო და შეურიგდა თეიმურაზს და ერეკლეს. ერთგულების ფიცი მისცა მამა-შვილს, მათგან კი უვნებლობის ფიცი მიიღო.

როცა ამილახვრის ურჩობით გაბრაზებულმა შაჰმა ბრძანა ან თვალები დასთხარეთ მოლალატეს, ან ირანში გამომიგზავნეთო, შეწუხებულ თამარ ბატონიშვილს გივი ამილახვრისთვის შეუთავაზებია – თან გაგყვები ირანში, რომ შაჰს მე თვითონ ვთხოვო შენი შეწყალებაო.

თამარ ბატონიშვილი – „სადგური კეთილისა და საუნჯე სათნოებისა“ საყვარელი დის ანუკას სიკვდილით გამოწვეულმა დარდმა იმსხვერპლა.

ცხრა მთას იქით დაკარგულნი

სახელმწიფო საჭიროებისა თუ უბედური შემთხვევების გამო ხშირად რჩეული ქალები უცხოეთში ხვდებოდნენ, სიცოცხლის საუკეთესო წლებს იქ ატარებდნენ და უცხო მიწას ებარებოდნენ სამშობლოს დანატრებულნი და ნოსტალგიით გულდასენილნი.

მარტო ოთარ შალიკაშვილის ქალის გახსენება რად ღირს, რომელიც მუხანათი ბედისწერით სპარსეთში იყო გათხოვილი შაჰ-თამაზზე. გონიერ, კდემამოსილ, დიდბუნებოვან ქალს ძლიერი ზეგავლენა ჰქონდა სამეფო კარზე. მისი ძალისხმევით მოხდა ტყვედქმნილი სვიმონ მეფისა და ბაგრატ მუხრან-ბატონის ძის, არჩილის და მისი ცოლ-შვილის განთავისუფლება. მწვავე მომენტში ეს ბრძენი ქალბატონი დადგა საქართველოსა და სპარსეთს შორის დაურღვეველი მშვიდობისა და ერთობის გარანტად.

უცხოურმა წყაროებმა შემოგვინახეს ცნობები იმის შესახებ, თუ როგორ მოიპოვებდნენ ჰარამხანებში მცხოვრები ქართველი ქალები საქართველოსთვის მნიშვნელოვან ცნობებს და სამშობლოში აგზავნიდნენ. რუსი პოლკოვნიკი ს. ბურნაშოვი წერს, რომ სტამბოლის ჰარამხანაში მყოფი ქართველი ტყვე ლამაზმანები საიდუმლო ინფორმაციას აწვდიდნენ ერეკლე მეორეს ოსმალეთის იმპერიის საშინაო მდგომარეობაზე, რითაც ქართლ-კახეთის სამეფოს უადვილებდნენ მტრებთან გამკლავებას.

ზოგი პოლიტიკური აუცილებლობის გამო დედოფლად წაბრძანებული, ზოგიც მალულად გატაცებული, უცხო მიწაზე მონად გაყიდული განუხრელად ფიქრობდა საქართველოზე და ცდილობდა, შორიდან დახმარებოდა თავის ქვეყანას. მათი რიცხვი ბევრი იყო, ძალზე ბევრი...

და მაინც რამდენიმე მათგანს გამორჩეულად გავიხსენებთ.

მარიამ-მართა – დედოფალი ბიზანტიისა

ბაგრატ მეოთხის ასული მარიამი (მართა) ბიზანტიის კეისარმა იშვილა და ყრმობის რამდენიმე წელი კონსტანტინეპოლში გაატარა. 1056 წელს კეისარი გარდაიცვალა და სასახლის კარზე მძევლად წაყვანილი პატარა მართა სამშობლოში დააბრუნეს.

ცხრა წლის შემდეგ ბიზანტიის კეისარმა კონსტანტინე X დუკამ ბაგრატს ასული სთხოვა რძლად – უფლისწულ მიხეილის საცოლედ.

ეს ქორწინება თავად წმინდა გიორგი ათონელმა აკურთხა, რომელმაც თეოდორას დაკრძალვის დღეს სასწაულებრივად იწინასწარმეტყველა მართას გადედოფლება. მომავალი დედოფლის საქორწინო ასაბიას წმინდა მამა ხელმძღვანელობდა და მართას ამაღასთან ერთად 80 უდედმამო ქართველი ბავშვი მიჰყავდა ბიზანტიაში განათლების მისაღებად.

1071 წელს ბიზანტიის სამეფო ტახტზე ავიდნენ მიხეილ დუკა და მეუღლე მისი მართა, აწ უკვე მარიამ ბაგრატიონი.

ახალგაზრდა, ულამაზეს, გონიერ დედოფალს ალტაცებაში მოჰყავდა მნახველი. გამოჩენილი

ფილოსოფოსი, ისტორიკოსი და პოლიტიკოსი მიქელ უსელოსი წერდა: „რომ დედოფლის ქება არ გამომივიდეს მისი გვარიშვილობის გამო, რომელიც სიმდიდრითა და შთამომავლობით ყველა სხვა სამეფო გვარს აღემატება, მის საქებრად კმარა ყველაფერში მისი ხასიათი, რომ აღარაფერი ვთქვათ სხვა ღირსებაზე; თუკი ქალებისთვის დუმილი სამკაულია, იგი მარიამისთვის ყოველ სამკაულზე უფრო უპირატესი იყო, რადგან არავის სხვას ენას არ გააცნობდა და თავისთავად უფრო ლამაზი იყო, ვიდრე მაშინ, როცა საჭიროება მოითხოვდა მოკაზმულიყო“.

რამდენიმე წლის მერე მიხეილ დუკა გადადგა და ბერად აღიკვეცა. კეისრად ნიკიფორე ბოტანიატე დაჯდა. ის აღფრთოვანებული იყო მარიამის სილამაზით და გონიერებით. ხშირად ეთათბირებოდა სახელმწიფო საქმეებზე და მის რჩევებს იზიარებდა. ქართველი დედოფალი დიდი პოლიტიკური გავლენით სარგებლობდა და ცდილობდა ბიზანტიის სამეფო ტახტზე დაებრუნებინა თავისი ერთადერთი ვაჟი კონსტანტინე.

სამეფო კარზე პოლიტიკური ბატალიები ძალზე სწრაფად და მწვავედ განვითარდა. ტომით ქართველმა, კაბადოკიელმა დიდებულებმა ალექსი და ისაკ კომნენოსებმა ნიკიფორე ჩამოაგდეს. ტახტზე ავიდა ალექსი კომნენოსი.

ბედისწერისგან მერამდენედ განწირულმა მარიამმა კვლავ გამოიჩინა გონიერება, გამჭირახობა და მოახერხა, რომ ალექსი კეისარს კონსტანტინე დუკა თანამმართველად

გამოეცხადებინა. მან დედის წყალობით მოიპოვა უფლება წითელი მეღვინით მოეწერა ხელი დოკუმენტებზე, ატარებდა წითელ წაღებს და საზეიმო მიღებებზე სამეფო თავსაბურავით იყო შემკული.

მარიამი ცნობილი იყო ქველმოქმედებით. ის დიდად შეეწეოდა იერუსალიმის ქალთა მონასტერს, ათონის ივერთა მონასტერს.

პოლიტიკურ ვნებათაღელვაში დამარცხებული დედოფალი ძველმა თანამოზრემ, ალექსი კომნენოსმა კუნძულ პინკრიპოზე გადაასახლა.

ასე აღესრულა უცხოეთში კიდევ ერთი დიდებული ქართველი ქალი.

გურჯი ხათუნი

დიდი თამარის შვილიშვილი და სეხნია თამარი რუსუდან მეფის ასული იყო. სილამაზით, სიბრძნით, სიქველით გამორჩეულ ბაგრატოვანს შორს გაუვარდა სახელი. სელჩუკთა სულთანმა ყიას ედ-დინ ქაიროსრო II-მ, თამარის სრულქმნილებით აღფრთოვანებულმა, რუსუდანს ქალიშვილის ხელი სთხოვა, სამაგიეროდ აღუთქვა, რომ ქრისტიანობას შეუნარჩუნებდა მას, მეტიც, ის მზად იყო თავადაც მიეღო ქრისტიანობა.

ასე გახდა ულამაზესი ქართველი უფლისწული იკონიის დედოფალი.

თამარის სილამაზით მოხიბლულმა ყიას ედ-დინმა საყვარელ ცოლს გურჯი ხათუნი („ქართველი ქალბატონი“) დაარქვა და გადაწყვიტა მისი ზეობის ჟამს მოჭრილ მონეტაზე ამოეტვიფრათ თამარის სახე. ამას ისლამის რჯული სასტიკად კრძალავდა. მაშინ მეფემ ხერხი იხმარა და ემბლემა შექმნა – მზე ლომის ზოდიაქოში. 1236 წელს მოჭრილ მონეტაზე ფაფარაშლილ ლომთან ერთად მზის დისკოში უმშვენიერესი ქალის სახე ამოატვიფრინა. აქედან იღებს სათავეს აღმოსავლეთში გავრცელებული ემბლემა – მზე და ლომი.

ბრძენი და კეთილი დედოფალი გულწრფელად შეიყვარეს იკონიელებმა. ისინი აღფრთოვანებულნი იყვნენ მისი სილამაზით, განათლებით, ჭკუა-გონებით, პოლიტიკური გამჭრიახობით. გურჯი ხათუნი პატრონობდა ხელმოკლე ქვეშევრდომებს, აქტიურად მონაწილეობდა სახელმწიფო საქმეების გადაწყვეტაში, იცავდა ქრისტიანულ რჯულს და ესწრებოდა თანმხლები პირების მიერ ჩატარებულ საღვთო ლიტურგიებს.

ბედისწერის ჩარხი უკუღმა მობრუნდა გურჯი ხათუნის თავზე. საკუთარი დედის ჩარევით ყიას ედ-დინმა გული აიცრუა დედოფალზე, სასტიკად მოექცა და ქრისტიანობის უარყოფა მოსთხოვა.

აქაც დიდი სიბრძნე გამოიჩინა თამარმა. ის ორთოდოქსულ ისლამს კი არ ეზიარა, არამედ მის სუფიურ მიმდინარეობას მეველევობას, რომელიც არ ითხოვდა გამაჰმადიანებას, ყველა რელიგიას თანაბარ პატივს მიაგებდა. ასე რომ, დედოფალი თავისი დიპლომატიური ნიჭის წყალობით სიცოცხლის ბოლომდე ქრისტიანობის ერთგული დარჩა.

თამარი დაუმეგობრდა აღმოსავლეთის ყველა დროის უდიდეს მოაზროვნეს, ჯელალ-ედ-დინ რუმს. მათი ურთიერთობა აღწერილია აჰმედ ევლაქის 1318-58 წლებში დაწერილ წიგნში „მეცნიერთა ცხოვრება“. გურჯი ხათუნის, თამარყოფილის მცდელობით შეიქმნა რუმის პირველი პორტრეტი, მისივე უშუალო ხელმძღვანელობით აშენდა კონიაში პოეტის მწვანე თურბე – სელჩუკური არქიტექტურის მშვენიება. ეს მეგობრობა და თანაზიარობა შთამომავლებმაც გააგრძელეს. ასე რომ, ჯელალ ედ-დინ რუმის სახელს თან დაჰყვება გურჯი ხათუნის სახელიც.

თანამედროვეთათვის უცნობია გურჯი ხათუნის საფლავი. თავისი დიდი წინაპრის მსგავსად, შთამომავლობამ უამრავი ლეგენდა შექმნა მასზე.

სეტი ნეფისე – მამლუქთა დედა

ულმობელი ბედისწერა თან სდევდა ქვეყნის თვალად მიჩნეულ საქართველოს და მის შვილებს.

ქვეყნიდან მალულად გატაცებული ქართველი ტყვე ქალები უმეტესად აღმოსავლეთისა და ეგვიპტის ქვეყნების ჰარამხანებს ამშვენებდნენ, მაგრამ აქაც ახერხებდნენ სამშობლოს კეთილდღეობისთვის ზრუნვას.

ისტორიოგრაფიაში კარგად არის ცნობილი ეგვიპტის მმართველის დიდი ალი-ბეის ულამაზესი ქართველი ცოლის სეტი-ნეფისეს სახელი.

იმ დროის ეგვიპტის მამლუქთა გამოჩენილ ბელადს, 1768-1773 წწ. დიდი ანტიოსმალური აჯანყების წინამძღოლს, წარმოშობით ქართველ ალი-ბეი ალ-ქაბირს ტყვეთა ბაზარში უყიდია ნორჩი ქართველი მზეთუნახავი, რომელსაც მალე თავისი გონება-გამჭირახობით ისე გაუთქვამს სახელი, რომ ალი-ბეის ცოლად შეურთავს. ალი-ბეის მალევე დაღუპულა ბრძოლაში მიღებული ჭრილობისაგან. ჭკვიანი ქვრივი მარჯვედ მართავდა ქონებას, ქველმოქმედებას ეწეოდა. ცოტა ხანში ის მეორე ძალიან ცნობილ ქართველ მამლუქს, მურად-ბეგს გაჰყვია ცოლად. თანდაყოლილი ნიჭის წყალობით ნეფისემ კარგად შეისწავლა არაბული ენა, წიგნების კითხვით გონება გაიმდიდრა. ნეფისეს თავისი სახელობის მოწყალების სახლი აუშენებია, რომელსაც საბილ ქუთაბი რქმევია. აქ სხვა მოწყალებასთან ერთად სასმელ წყალსაც უფასოდ გასცემდნენ თურმე.

1798 წელს ეგვიპტეს ნაპოლეონის ჯარი მოადგა. პირველი გააფთრებული ბრძოლა პირამიდებთან მოხდა. ბრძოლა უთანასწორო გამოდგა. ნაპოლეონის ისტორიული

მიმართვით გამხნეებულმა ფრანგებმა სძლიეს ეგვიპტელებს. ნაპოლეონი კაიროს მიადგა. ქალაქის კარიბჭესთან კი მას სეტი-ნეფისე ელოდებოდა.

ევროპელი მკვლევრების გადმოცემით, სეტი-ნეფისემ ფრანგთა ექსპედიციის დროს თავი ისახელა უაღრესად საპატიო საქმეებით. ქალთა შორის ცოტა ვინმეს თუ უჩვენებია იმდენი თვისება, რამდენიც მან აჩვენა, მისი კეთილშობილური ხასიათი და კდემამოსილება ფრანგების აღტაცებას იწვევდა. ნეფისეს ახასიათებდა აღმოსავლეთის ქალებისთვის იშვიათი განსწავლულობა. მისი მანერებიც სავსებით შეესაბამებოდა მის ამაღლებულ სულს. გასაჭირი უდრტვინველად აიტანა, განმარტოებულმა და შემწეობას მოკლებულმა თავის ქმარსაც აღმოუჩინა დახმარება.

სეტი-ნეფისე შუამავლად გამოვიდა, როცა ფრანგებსა და მის ქმარს შორის ზავი უნდა დადებულიყო. თავისი გამჭირაობით სიტი ნეფისეს მურად-ბეგი და მისი მეომრები უკან დაუბრუნებია და ნაპოლეონთან შეურიგებია. ამიტომაც ემახდნენ მას „მამლუქთა დედას“.

ქართველი ამორძალები

ქართველი ქალები ოდითგანვე მამაკაცების გვერდით იარაღით ხელში იცავდნენ ქვეყნის დამოუკიდებლობას და ღირსებას მომხდურისგან. ალექსანდრე მაკედონელის მხედრის პტოლემეის ცნობით, „კოლხიდაში დედაკაცები

არიან მამაცნი, უფლების მოყვარენი, ძლიერნი და მებრძოლნი“. XIII საუკუნის მწერალი, ვიცენტი გელვაცენი ქართველ ქალებზე ამბობს: „[ქართველი] დედაკაცები ისე შეჩვეულნი არიან ლაშქრიანობას, რომ ცხენდაცხენ ეომებიან მტერს“. ისინი ძმებს, მამებს, შვილებს, მეუღლეებს გმირობისა და ვაჟკაცობის საოცარ მაგალითებს უჩვენებდნენ. საუკუნეებს ლეგენდებად შემორჩა მათი სახელები.

უცხოურმა წყაროებმა შემოგვინახეს ისტორია უცნობი ქართველი მანდილოსნისა. პოლონელი კრუზინსკი და ინგლისელი ჰანვეი გვიამბობენ საოცარ ამბავს ქართველი ამორძალისა, რომელსაც ავღანელებმა საყვარელი მეუღლე მოუკლეს. 1724 წელს, როცა გიორგი XI-ის მკვლელის, მირვეისის შვილი მირ-მაჰმუდი დიდებით შედიოდა ისპაჰანში, უეცრად საიდანღაც გამოქანდა ცხენზე მჯდომი შუბოსანი მხედარი, მედგრად ეკვეთა მაჰმუდის ლაშქარს და ოცი ავღანელი იქვე მიაწვინა. როდესაც გაშმაგებული მხედარი შეიპყრეს, აღმოჩნდა, რომ ის ქართველი ქალი იყო. ცოლმა შური იძია ქმრის სიკვდილისთვის. ქალის თავდადებით გაოგნებულმა მაჰმუდმა ტყვექმნილი მანდილოსანი გაათავისუფლა.

ასეთ თავდადებულ ქალთა რიცხვი დაუთვლელია საქართველოს ისტორიაში.

პომპეუსთან მებრძოლი ქალები

ძველი წელთაღრიცხვით 65 წელს საქართველოში მსოფლიოს უდიდესი დამპყრობლები – რომაელები შემოიჭრნენ სახელოვანი სარდლის გნეუს პომპეუსის სარდლობით.

იბერიის მეფე არტაგი შეეცადა ზავი შეეთავაზებინა რომაელისათვის, მაგრამ მრავალი გამარჯვებით გათამამებულმა პომპეუსმა ყურად არ იღო მეფის შემოთავაზება.

პირისპირ ბრძოლაში დამარცხებული ქართველები პარტიზანულ ომზე გადავიდნენ, უსიერ ტყეებში გახიზნულები უამრავ თავსატეხს უჩენდნენ მტერს – გზას უჭრიდნენ, ქვას აგორებდნენ, ხეებში ჩასაფრებულები ისრების წვიმას მიუვლენდნენ და დიდი ზარალს აყენებდნენ მომხდურს.

ქართველთა შემართებით მოთმინებადაკარგულმა პომპეუსმა ბრძანა ტყეები გაეჩეხათ, ცეცხლი წაეკიდებინათ ხეებისათვის და ასე ჩაეგდოთ ხელში თავდადებული ქართველები.

დაჭრილ და დახოცილ ქართველ პარტიზანთა შორის რომაელებმა მრავალი ქალი აღმოაჩინეს. გაცემა იმდენად დიდი იყო, რომ რომში ხმამ ჩააღწია – პომპეუსი აღმოსავლეთში ამორძალებს ებრძვისო.

ყოველთვის ასე იყო – ქართველი ქალები მამაკაცების გვერდით იბრძოდნენ და თავს სწირავდნენ სამშობლოსათვის.

ხერხულიძეების დედა და და

ქართველთა ბედისწერად ქცეული „ბრწყინვალე დამარცხებად“ წოდებული მარაბდის ბრძოლა განსაკუთრებული მნიშვნელობისაა საქართველოს ისტორიაში. ეს დამარცხებული ომი შეიძლება „სიკვდილითა სიკვდილის დათრგუნვად“ ჩაითვალოს, რადგანაც ამ გამარჯვებით ხერხემალში გადატყდა სპარსთა დაუმარცხებელი არმიას და დადგა დასასრულის დასაწყისი.

მარაბდის გმირთა შორის გამორჩეული დიდებით ბრწყინავს ბრძოლის ველზე გმირულად დაცემული ცხრა ძმა ხერხულიძის დედის და დის სახელი.

ხერხულიძეთაგან უფროსს მედროშეობა ჰქონდა დავალებული. დედა თავის ასულთან ერთად გაფაციცებით ადევნებდა თვალს ბრძოლის ველს. უთანასწორო შერკინებაში ქართველებმა საარაკო გმირობა უჩვენეს, მაგრამ მტერთა სიმრავლემ აჯობა თავდადებას.

ცხრა ხერხულიძის ხელში გადაინაცვლა ქართულმა დროშამ, ცხრა ძმა გმირულად დაეცა მარაბდის ველზე. შემდეგ ნაბოლარამ – ერთადერთმა დამ იპყრა ხელთ

დიდგორსა და ბასიანში გამოვლილი დროშა და როდესაც იმანაც ჩაიმუხლა, დედამ აღმართა ქართველთა უკვდავების სიმბოლო და წინ წაუძღვა ლაშქარს. ხერხეულიძეების დედამ, სავარაუდოდ, მარიამმა ბევრი მომხდური გამოასალმა სიცოცხლეს, მაგრამ უთანასწორო ბრძოლაში თვითონაც დაიღუპა.

საქართველოს ეკლესიამ წმინდანებად შერაცხა მარაბდის ველზე დაღუპული ქართველი რაინდები, მათთან ერთად ხერხეულიძეების დედა და და.

მარიამ დადიანი

ქართველ ამორძალთა შორის არ შეიძლება არ გავიხსენოთ ოტია დადიანის ასული, იმერეთის მეფის სოლომონ პირველის მეუღლე მარიამ დედოფალი.

სოლომონ მეფემ მარიამ დედოფლის შემწეობით შეძლო ოსმალების დამარცხება და დასავლეთ საქართველოში მშვიდობიანობის დამყარება. ეს საოცარი ქალბატონი თურქებთან ბრძოლის დროს თავისი რაზმით პირველი შეიჭრა ბაღდადის ციხეში. ამ შემთხვევაზე საგანგებოდ წერდა გერმანელი ვეიდენბაუმი.

მარიამ დადიანის ამ გმირობა განცვიფრებაში მოუყვანია რუსეთის იმპერატორი ეკატერინე II და ცნობილი ფრანგი განმანათლებელი ვოლტერი. აღფრთოვანებული

ვოლტერი წერდა ეკატერინე მეორეს: „ქართველთა გმირობა საკვირველი სულაც არ არის, ვინაიდან ისინი მითრიდატ დიდის შთამომავლები არიან“.

ეს უშიშარი მანდილოსანი დიპლომატიური მისიით ეახლა ახალციხის ფაშას იბრაჰიმს და მართლაც ამორძალური შეუპოვრობით მოახერხა ქართველ ტყვეთა ყიდვა-გაყიდვის აკრძალვა.

მაია წყნეთელი

მაია წყნეთელის, ერეკლე მეფის მიერ მათე-ბიჭად მონათლული ქალის სახელი ლეგენდად გამოჰყვა საუკუნეებს. გადმოცემით, ბატონის ავხორცობის მსხვერპლად ქცეული ყრმა მაია გამოქცევია უსამართლობას, ჩაუცვამს მამის ტანსაცმელი, შემოურტყამს ხმალ-ხანჯალი, აულია თოფი და თბილისში ხლებია მეფე ერეკლეს. მაიას გონიერებით გაოცებულ მეფეს თავის რჩეულ რაზმში ჩაურიცხავს იგი.

მალე ერეკლეს ლეკებთან მოუწია შეხვედრა. აქედან იწყება მათე-ბიჭის გმირული ეპოპეა. პატარა კახი განცვიფრებულა ახალგაზრდა მებრძოლის საარაკო მამაცობით, სიმარდით და ვაჟკაცობით. მან არ იცოდა, რომ მისი რაზმის რჩეული რაინდი ქალი იყო.

მაიას განსაკუთრებით გამოუჩენია თავი თურქებთან ბრძოლაში სოღანლუღის მისადგომებთან. ის ფეხდაფეხ მიჰყვოლია მეფეს და თურქთა ბელადისთვის თავი მოუჭრია.

მაია ერთნაირი თავგამოდებით ებრძოდა გარეშე და შინაურ მტერს. გადმოცემა მოგვითხრობს ერთ შემზარავ ამბავს: ერთ-ერთ მებატონეს სპარსელებისთვის მიუყიდა თორმეტი გოგო-ბიჭი. მაიას თანამოაზრეები შეუკრებია, დასდევნებია მძარცველებს, ტყვეები წაურთმევია, მომხდურები დაუხოცავს და გამარჯვებული დაბრუნებულა სასახლეში. როცა მეფე ერეკლეს გაუგია ეს ამბავი, სასტიკად განრისხებულა, მღვდელმთავრები მოუწვევია სასახლეში და შეუჩვენებიათ ავისმოქმედნი.

ამ ამბის შემდეგ თავადაზნაურობას მაია აუთვალისწუნებია, ერთხელად გზად დახვედრიან მოსაკლავად, მაგრამ ვერაფერი დაუკლიათ, ცოცხლად გადარჩენილს კი საშინელი სიცრუე უთქვამს თავდადებული ქალისთვის – მეფე ერეკლეს ბრძანებით ვაპირებდით შენს მოკვლასო.

გულმოკლული მაია მივარდნილ სოფელში გადაიხვეწა. წლების მერე ერეკლე მეფე შემთხვევით შეხვდა მაიას და აქ გაიგო მისი საიდუმლო – მეფის ერთგული მათე-ბიჭი სინამდვილეში ქალი იყო.

1795 წლის აღა-მაჰმად-ხანის შემოსევისას მაიას კიდევ ერთხელ უსახელებია თავი. მაშინ მას უკვე სადიაცო სამოსი

ეცვა. მოწინავე მტრის ჯარის ნაწილებში აღმოჩენილი მათი სპარსელებს შეუპყრიათ, მაგრამ ტყვეობიდან დაუღწევია თავი, თუმცა სამშობლომდე მანც ვერ მოაღწია – ერევნის მიდამოებში დაჭრილა სასიკვდილოდ.

თინა წავკისელი

თინა ფეიქრიშვილი წავკისელი გაბაშვილის ყმა ყოფილა. მამაც გოგონას სიყმაწვილეშივე შეურაცხყოფისთვის მოუკლავს ბატონი და სასახლიდან ისე გამქრალა, თვალი ვერ მოუკრავთ. ამის შემდეგ რამდენიმე ხანში თინა და სხვა გოგო-ბიჭები თავგასულ ბატონებს სპარსელებისთვის მიუყიდნიათ. ამ უკანასკნელთ მათზე ძალადობა მოუნდომებიათ, მაგრამ თინას შეუტყვია მათი განზრახვა, გაუფრთხილებია თავისი ამხანაგები, მტრისთვის იარაღი აუყრიათ, დაუხოცავთ, ჩამოსულან თბილისში და მეფე ერეკლესთვის შეუჩივლიათ თავს დამტყდარი უბედურება.

მეფეს სასახლის კარზე დაუტოვებია მხნე ქალი. მას გარეშე მტრების წინააღმდეგ არაერთ ბრძოლაში მიუღია მონაწილეობა და არაერთგზის უსახელებია თავი. ერეკლე მეფეს განსაკუთრებით ჰყვარებია თინა.

თინა ერეკლე მეფის კურთხევით გათხოვილა და წავკისში დაბინავებულა. შრომისმოყვარე, გამრჯე, სამართლიანი ოჯახი ძალზე შეჰყვარებია სოფელს.

ერთხელ ერეკლე მეფეს წაგვისის მამაკაცები მდევრად გაუყვანია. ამ დროს სოფელს მტერი შემოსევია. თინას უმწეო ხალხი კოშკში გაუხიზნავს, სათოფურებზე ფუტკრის სკები დაუდგამს, თვითონ კი თბილისში წასულა დამხმარე ძალის მოსაყვანად.

როცა მტრის ლაშქარი კოშკს შესევია, ქალებს სკები გაუხსნიათ და ფუტკრები გამოუშვიათ. მტერი ჯერ კიდევ ფუტკრის შემოსევას იგერიებდა, როცა თინა მოვიდა ჯარით და დაკბენილი თათრები სასტიკად დაამარცხა.

თინას ალა-მაჰმად-ხანის წინააღმდეგ ბრძოლაშიც მიუღია მონაწილეობა. გადმოცემით, იგი ბოლნისში მოუკლავთ. ერეკლე მეფემ თინა ბოლნისის სიონთან დაასაფლავებინა ქმრის გვერდით.

თამარ ვაშლოვნელი

XVIII საუკუნის გმირ ქალთა შორის ბრწყინავს თამარ ვაშლოვნელის სახელი.

ობლად დარჩენილი თამარი ბოროტ დედინაცვალს გამოქცევია და ბატონის სასახლისთვის შეუფარებია თავი, მაგრამ მას გოგონა ვიღაც უზნეოსთვის მიუყიდა. მოხერხებულ გოგონას ტყვეობიდან თვითონ გამოუხსნია თავი და სახლში დაბრუნებულა.

მნელბედობის ჟამს თამარი მამაკაცის ტანაცმელს იცვამდა და თავგამოდებით იბრძოდა მტრის წინააღმდეგ. ხშირად ყოფილა შემთხვევა, რომ სოფელზე მომდგარი მტერი სირცხვილნაჭამი და დამარცხებული გაუბრუნებია უკან.

თამარის ვაჟკაცობით აღფრთოვანებულ ერეკლე მეფეს მისთვის ლურჯა უჩუქებია.

ერთ-ერთ ბრძოლაში თამარ ვაშლოვნელი მტერს შეუპყრია. მისი განთავისუფლება სახალხო გმირს პაატა თემურიშვილს უდვია თავზე და ყარაბაღში წაურთმევია მომხდურისთვის.

ერთხელ თამარს ვაშლოვანი გადაურჩენია გარდაუვალი განადგურებისაგან. სანამ თურქები შემოიჭრებოდნენ ქალები, ბავშვები, მოხუცებულები და დავრდომილები კოშკში გაუხიზნავს, თვითონ კი მტერს სოფლიდან დაშორებით ჩასაფრებია, მომხდური ვიწროებში შეუტყუებია და სასტიკად დაუმარცხებია თანატოლების დახმარებით.

თამარს ბრძოლა დაუწყია შინაური მტრების – თავაშვებული მოძალადეების წინააღმდეგაც, რასაც შესწირვია კიდევ – ერთხელ ვაშლოვნელი გმირი ქალი შეუპყრიათ, უცემიათ და მტკვარში გადაუგდიათ.

გადმოცემით, თრიალეთის ეკლესიის ეზოში თამარ ვაშლოვნელის საფლავს წარწერიანი ლოდი ფარავს.

ქართველი ჟანა დარკი – მარო მაცაშვილი

საქართველოსთვის ტკივილიანი 1912 წლის გმირულ ეპოპეას ამშვენებს 19 წლის თავდადებული ქართველი ასულის, მეოცე საუკუნის ამორძალის მარო მაცაშვილის ნათელი სახელი.

მარო მაცაშვილი საქართველოს მწერალთა კავშირის ერთ-ერთი დამაარსებლის, ქართველი პოეტის კოტე მაცაშვილის ერთადერთი ასული და ცნობილი ქართველი მწერლის ეკატერინე გაბაშვილის შვილიშვილი იყო.

მარომ ქალთა ქართული გიმნაზიის დამთავრების შემდეგ თბილისის უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტზე გააგრძელა სწავლა, უნდოდა უცხო ენებს დაუფლებოდა, მაგრამ არ დასცალდა. მეორე კურსის სტუდენტი იყო, როცა ბოლშევიკური რუსეთი თავს დაესხა საქართველოს. როდესაც მე-11 არმია თბილისს მიუახლოვდა, ქართველი ახალგაზრდების რჩეული ნაწილი კოჯორ-ტაბახმელასკენ დაიძრა, რათა საკუთარი მკერდით გადაღობებოდა სამშობლოსკენ მომართულ ტყვიას. მათ შორის იყო კოტე მაცაშვილის უფროსი ვაჟი შალვა.

სულ მალე, მშობლების წინააღმდეგობის მიუხედავად, მარომაც მიაშურა უთანასწორო ბრძოლის ველს. ის მეგობრებთან ერთად მოხალისედ წავიდა და წითელ ჯვარში მოწყალების დად ჩაეწერა. მეგობრები კოჯორისკენ მიმავალ

სანიტარულ რაზმს შეუერთდნენ. კოჯორში უკვე გააფთრებით იბრძოდნენ ქართველი იუნკერები.

19 თებერვალს მაროს გვერდით ყუმბარა გასკდა, კეფაში მოხვედრილმა ნამსხვრევმა სიცოცხლე მიუსწრაფა 19 წლის პატრიოტ ქალიშვილს.

1921 წლის 23 თებერვალს მარო მაცაშვილი და მასთან ერთად კოჯორ-ტაბახმელას მისადგომებთან გმირულად დაღუპული 21 იუნკერი სამხედრო ტაძრის ეზოში დაკრძალეს. წირვა მათი სულების მოსახსენიებლად დეკანოზმა (შემდგომ კათალიკოს-პატრიარქმა) კალისტრატე ცინცაძემ აღავლინა.

მოგვიანებით ზაქარია ფალიაშვილს „დაისის“ მთავარი გმირისთვის მარო სწორედ მაცაშვილების ასულის პატივსაცემად დაურქმევია. მისი სათნოება, ღვთისმოსაობა, კეთილშობილება ქართველ შემოქმედთათვის შთაგონების წყარო გამხდარა. მას ხშირად იხსენიებდნენ ნინოს, თამარის, ქეთევანის გვერდით და „ქართველ ჟანა დარკს“ ემახდნენ.

„ჰოი, დედანო, მარად ნეტარნო...“ –

საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი

ქართველი ქალები

საქართველოს დამოუკიდებლობისთვის მებრძოლ ქალთა შორის განსაკუთრებით გამოირჩევა მეფე ერეკლეს ოჯახი და სახლიკაცები. უცნაურია – მეფე რუსეთთან ურთიერთობის გაძლიერება-გაღრმავებას მიესწრაფოდა, მისი მეუღლე, ქალიშვილები, რძლები კი ქალური სიბრძნითა და ინტუიციით გრძნობდნენ იმ საფრთხეს, რომელიც ჩრდილოეთიდან მოემართებოდა საქართველოსკენ და ცდილობდნენ ხელი შეეშალათ მეფე ერეკლესთვის.

ერეკლე მეფის კარზე რუსული ორიენტაციის მოწინააღმდეგეთა ბანაკს მეთაურობდა დარეჯან დედოფალი. მის ირგვლივ შემოკრებილნი იყვნენ ბატონიშვილები – მარიამი, ქეთევანი, თეკლა, მეფე გიორგი XII-ის მეუღლე – დედოფალი მარიამ ციციშვილი. რუსეთის აგრესიის წინააღმდეგ იბრძოდნენ იმერეთის მეფის სოლომონ I-ის ასული დარეჯან ბატონიშვილი, სოლომონ მეორის და მარიამი, კაცია დადიანის ასული მარიამი, გურიის უკანასკნელი მთავრის მამიას მეუღლე სოფიო, მისი ქალიშვილი ეკატერინე გურიელი, იმერეთის ჯარების სარდლის ქაიხოსრო წერეთლის მეუღლე ქეთევან აბაშიძე.

ერეკლე II-ის მეუღლე დედოფალი დარეჯანი ადგენდა პირველ შეთქმულებას კნორინგისა და ციციანოვის წინააღმდეგ, რომელთაც დაპირებული მფარველობის ნაცვლად ანექსიის მანიფესტი გამოაქვეყნეს.

გიორგი XII-ის მეუღლემ, საქართველოს უკანასკნელმა დედოფალმა მარიამმა ხანჯლით გული გაუპო მის შესაპყრობად მისულ გენერალ ლაზარევს და საქართველო ბრძოლით დატოვა.

1802 წლის აჯანყების იდეური ხელმძღვანელი იყო გარსევან ჭავჭავაძის მეუღლე მარიამ ანდრონიკაშვილი (ისევ მწარე ბედისწერა თუ პარადოქსი – ეს ის გარსევან ჭავჭავაძეა, რომელმაც თავისი ფაქსიმილეთი დაადასტურა 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატი!!!).

მთიულეთის და კახეთის აჯანყებებისკენ ქალები მოუწოდებდნენ მამაკაცებს და თვითონაც აქტიურად მონაწილეობდნენ.

რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს უცხოეთში გადახვეწილი გურიის დედოფალი სოფიო ქობულეთში შემოიჭრა და კინაღამ დასავლეთ საქართველო დააკარგინა რუსებს.

გიორგი XII-ის ასულმა, რუსეთში გადასახლებულმა სამეგრელოს დედოფალმა ნინომ თავისი შვილი გიორგი გამოგზავნა სამეგრელოს ასაჯანყებლად.

1832 წლის შეთქმულების ერთ-ერთი ორგანიზატორის, თეკლა ბატონიშვილის ვაჟის, ალ. ორბელიანის გადმოცემით, ქალებმა დაიფიცეს, კაცურად ჩავიცვამთ და ჩვენს უკანასკნელ სისხლს დავღვრით მამულის გამოსახსნელადო. თეკლას ვაჟს ისიც უთქვამს, რომ თავად დედაკაცები დაიწყებენ აჯანყებას, თუ მამაკაცები არ მოისურვებენო.

დარეჯან დედოფალი

ერეკლე მეორის მეუღლე დარეჯანი სამეგრელოს მთავრის გიორგი დადიანის ასული იყო. ბრძენი დედოფალი თავიდანვე მტრულად უყურებდა ერეკლეს რუსეთთან დაახლოებას. ის ჯერ კიდევ გეორგიევსკის ტრაქტატის დადების წინააღმდეგი ყოფილა. მახვილი ჭკუის, დინჯი, დარბაისელი ქალი კარგად აცნობიერებდა იმ ღალატს და მის შედეგებს, რომელიც არაერთხელ იწვნიეს ქართველებმა რუსების მხრიდან. ჯერ მარტო ასპინძის ომის დროს რუსების ვერაგობაც საკმარისი იყო, რუსეთის ნამდვილი სახე შეეცნო გონიერ ადამიანს. 1774 წლის ქუჩუქ-ქაინაჯის ზავიც საქართველოს გაცემა იყო, არც 1776 წლის ზაალ ორბელიანის შეთქმულება მომხდარა რუსების მხარდაჭერის გარეშე.

ეს ყველაფერი დარეჯან დედოფლის თვალწინ ხდებოდა და ისიც ყოველნაირად ცდილობდა სასახლეში ანტირუსული განწყობა შეექმნა. ამის გამო დედოფალს

ერეკლეს რისხვაც დაუმსახურებია, რუსეთის ემისრები მას დაუძინებელ მტრად მიიჩნევდნენ.

1801 წლის მანიფესტმა საბოლოოდ ჩამოხადა ფარდა რუსეთის მიზნებს. სამეფოს გადასარჩენად ყველამ დარეჯანის გარშემო მოიყარა თავი. დედოფალი სამეფო ტახტის აღდგენას და მანიფესტის გაუქმებას მოითხოვდა.

რუსებისათვის თავიანთი იმპერიული პოლიტიკის გასატარებლად ყველაზე დიდი საფრთხე საქართველოში დარჩენილი ბედსშეურიგებელი ბაგრატიონები იყვნენ, ამიტომაც დაიწყეს მათი გადასახლება რუსეთში.

მეფის რუსეთის თვითმპყრობელური პოლიტიკის სუსხი დარეჯან დედოფალს პირველს შეეხო – ის, უკვე მოხუცი, 70 წლისა რუსეთში გადაასახლეს.

ცხოვრების ბოლო წლები საქართველოსა და თავის ხალხს დანატრებულმა დედოფალყოფილმა პეტერბურგში გაატარა, გარდაიცვალა 1807 წელს და დაკრძალეს იქვე, ხარების ეკლესიაში.

სამშობლოს მიწაც არ ეღირსა სამშობლოსთვის თავგანწირულ მანდილოსანს.

ქეთევან ბატონიშვილი

ქეთევან ბატონიშვილი თავის დებთან ერთად ღირსეული მამის ტრადიციების მატარებელი იყო, ამავე დროს დედის სიმტკიცე და კეთილშობილი სიამაყე უხვად ჰქონდა მომადლებული. ის ვერ შეურიგდებოდა თავისუფლების დაკარგვას რუსეთის იმპერატორის მიერ აღთქმული ფუფუნების წილ, ამიტომაც აქტიურად იბრძოდა რუსული კოლონიალისტური პოლიტიკის წინააღმდეგ.

ქეთევან ბატონიშვილი მონაწილეობას ღებულობდა 1804 წლის მთიულთა აჯანყებაში. ის ერთ-ერთი მთავარი ფიგურა იყო ამ შეთქმულებისა. მისი მეშვეობით უკავშირდებოდნენ შეთქმულები ერთმანეთს. საიდუმლო მიმოწერიდან ირკვევა, რომ ქეთევანი აჩქარებდა ალექსანდრე ბატონიშვილს საქართველოში შემოსაჭრელად.

აჯანყების ჩახშობის შემდეგ გენერალმა ციციანოვმა ქეთევანი საკუთარ სასახლეში დააპატიმრა. ქართველთა პირსისხლიანი ჯალათი, მანქურთად ქცეული ყოფილი ციციშვილი გულისტკივილით აღნიშნავდა, რომ ბატონიშვილი ქეთევანი უფრო სასტიკი მოპყრობის ღირსი იყო, მაგრამ შიშობდა – ვაითუ ამითი გავალიზიანო „ქარაფშუტა“ და „ყოველ ჭორებს ადვილად ამყოლი“ ქართველი ხალხიო.

სამშობლოს დამოუკიდებლობის დაკარგვით გამოწვეულ სევდას ქეთევან ბატონიშვილი თავის ლირიკულ ლექსებში გადმოსცემდა.

თეკლა ბატონიშვილი

თეკლა ერეკლე მეფის ნაბოლარა ქალიშვილი იყო. თავისი სიმამაცით, სიჩაუქით გამორჩეულ შვილზე მეფეს უთქვამს – „ჩემს ვაჟიშვილებს ჩემი თეკლას სიკეთე რომ სჭირდეთ, ბედნიერი ვიქნებოდით“. ის 16 წლამდე ვაჟურად გადაცმული და შეიარაღებული ხშირად ახლდა მეფეს სხვადასხვა ბრძოლებში.

ილია ჭავჭავაძის თქმით, „თეკლა ბატონიშვილი ყოფილა ზედმიწევნით მცოდნე მისდროინდელი ქართული მწერლობისა, სიბრძნით და სათნოებით შემეკული, ამასთან საკვირველი მხნე და გამჭრიახი“.

თეკლა არასოდეს შერიგებია რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს ანექსიას. ის განსაკუთრებით განიცდიდა საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობის დაკარგვას.

ცნობილია, რომ თეკლა ბატონიშვილი 1812 წლის კახეთის აჯანყებაში მონაწილეობისთვის აქეზებდა მეუღლეს და ნათესავებს. ამ შეუგუებლობამ მიიყვანა ის და მისი მომხრეები 1832 წლის შეთქმულებამდე.

თეკლა ბატონიშვილი თავის ვაჟიშვილებთან ერთად აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა 1832 წლის შეთქმულებაში. საქართველოს ამზობებებში მრავალგზის გამოცდილი და მოწმე რუსთა უსასტიკესი ეგზეკუციებისა, საქმეში ყველაზე მეტ სიფრთხილეს იჩენდა.

რუსეთის რისხვა არც ასაკოვან თეკლა ბატონიშვილს ასცდა და შვილებთან ერთად კალუგაში გადაასახლეს. მას მხოლოდ 1837 წელს დართეს სამშობლოში დაბრუნების ნება. დარჩენილი 10 წელი ერეკლე მეფის ნაბოლარა, უსაყვარლესმა ასულმა მწარე ვაებაში გაატარა.

თამარ ბატონიშვილი – ასული იულონისი

1805 წელს იულონ ბატონიშვილი ოჯახთან ერთად რუსეთში გადაასახლეს და საცხოვრებლად ტულა მიუჩინეს, მოგვიანებით ნება დართეს პეტერბურგში გადმოსულიყო.

იულონის ქალიშვილმა თამარმა მოახერხა თბილისში ჩამოსულიყო და სათავეში ჩადგომოდა რუსეთის წინააღმდეგ მოწყობილ კიდევე ერთ შეთქმულებას. ის არამარტო ორგანიზატორი და ინფორმატორი იყო, არამედ ინსტრუქციებიც კი შეიმუშავა შეთქმულთა მთავარი შტაბისთვის. მის ხელთ იყო ყველა ძალა და საჭირო განკარგულებებსაც და გეგმებსაც ის იძლეოდა.

შეთქმულების წარმატების შემთხვევაში მას დროებით უნდა აეღო ხელში საქართველოს მართვა-გამგეობა, ვიდრე ალექსანდრე ბატონიშვილი, ან თამარის ძმა დიმიტრი ჩამოვიდოდა.

დათქმული დღიდან ცოტა ხნით ადრე შეთქმულთა აქტიურმა წევრმა იასე ფალავანიშვილმა შეთქმულება გასცა. დაიწყო დაპატიმრებები. პატიმრები გააფთრებით იცავდნენ და ხელს აფარებდნენ საქართველოს უგვირგვინო დედოფალს, მაგრამ ბატონიშვილი თამარი დაიჭირეს და შორეულ სიმბირსკში გადაასახლეს.

ეკატერინე ბარათაშვილი – ალექსანდრე ორბელიანის მეუღლე

რუსეთის წინააღმდეგ შეთქმულ ქალთა შორის უნდა მოვიხსენიოთ თეკლა ბატონიშვილის რძალი, ალექსანდრე ორბელიანის მეუღლე ეკატერინე. ის იყო არა მარტო ღირსეული მეუღლე და დედა, არამედ ღრმა პატრიოტი ქალი, წმინდა საქმისთვის თავდადებული. შეთქმულებმა სწორედ მას დასდეს ამბოხისთვის საგანგებო დროშის დამზადების პატივი.

როდესაც ალექსანდრეს შესაპრობად მოვიდნენ, ერთგულ მეუღლეს თამამად უთქვამს პოლიცემისტერისთვის: „სადაც ჩემს ქმარს ჩასვამთ საპრობილეში, მეც ამასთან რომ შემიყვანოთ და

განუშორებლად ამასთან მამყოფოთ, უფრო მაღლიერი ვიქნებიო“.

„დღეს სადღა არის თქვენი მშვენება“ –

XIX საუკუნის ქართველი ქალები

1882 წლის 23 აგვისტოს ღრმად მოხუცებული გრიგოლ ორბელიანი წერს მეგობარ ქალს: „კნეინა ეკატერინე მეგრელიისა გარდაიცვალა გორდს 13 აგვისტოს... განვიდა ესეცა წარსულის დროისა საქართველოს მშვენიერება, დედუფლად დაბადებული! ვინცა შეხედავდა, მაშინვე მდაბლად თავი უნდა დაეკრა. ესრეთნი იყვნენ: ანნა, მანანა, მია, ჩვენი ეკატერინა, ყაფლანის და, ნინო გრიბოედოვისა და მრავალნი ესრეთნიცა; აბა ეხლა თვალი გადაავლე ჩვენს საზოგადოებას, ვინ არის ამათი მაგიერი? ჩემო ტასო, ბნელდება საქართველო!“

ისინი მრავლად იყვნენ – მანანა, ნინა, ეკატერინა, მია, მართა, სალომე, ანასტასია, სოფიო... ქალები, რომლებსაც „ისპაჰანიდან პეტერბურლამდე გაგიჟებული ჰყავდათ მნახველი“ თავიანთი სილამაზით, გონიერებით, სიდარბაისლით. მათი მნახველი და მსმენელი უცხოელები ლეგენდებად გადასცემდნენ ევროპას აღმოსავლეთის სასწაულზე – ქართველ ქალზე.

ქართველი მადამ რეკამიე – მანანა ორბელიანი

მირმანოზ ერისთავის ასული, დავით ორბელიანის მეუღლე მანანა XIX საუკუნის საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვის გამო სიბნელით მოცულ ქვეყანაში მანათობელ ვარსკვლავად ჩანს. ის მაშინდელი მოწინავე საზოგადოების სული და გული ყოფილა. მანანა არამარტო საოცარი სილამაზით გამოირჩეოდა, არამედ განსაკუთრებული ჭკუა, გემოვნება და განათლება ჰქონდა.

მანანა ორბელიანი 1832 წლის შეთქმულების ფარული მონაწილე იყო, ამბობენ მის ბინაში უნდა დაწყებულიყო. შეთქმულების გაცემის შემდეგ მას მკაცრი პოლიტიკური მეთვალყურეობა მიუჩინეს, მაგრამ უშიშრად პატრონობდა რუსული აგრესიის მსხვერპლთ. მანანა დამარცხებულთა და დევნილთა მანუგეშებელი გახდა.

რეპრესირებულ, სისხლისგან დაცლილ საქართველოში ნებისმიერი მოვლენა, რასაც ქართული ხასიათი ჰქონდა, საშინელ წინააღმდეგობას იწვევდა რუსი მოხელეების მხრიდან. ამ ვაკხანალიას აწესრიგებდა მანანა ორბელიანი თავისი სათნოებით, მოხერხებულობით, სიდარბაისლით. ამასთანავე, მკაცრი კრიტიკოსიც იყო. ცნობილია, რომ გრიგოლ ორბელიანს დაუნდობლად მიუთითა ერთ ლექსზე: „შენს დღეში ამისთანა უგემური ლექსი არ გითქვამსო“.

მანანა ორბელიანმა თავის სახლში მოაწყო ლიტერატურული სალონი, სადაც იკრიბებოდნენ გამოჩენილი საზოგადო მოღვაწეები, მწერლები, უცხოელი სტუმრები. ქართველი მადამ რეკამიე განუმეორებელი ხიბლით და გემოვნებით მასპინძლობდა მის სალონში მოსულ ქართველს თუ უცხოელს.

მანანა ორბელიანის სალონში „დაიბადა“ ქართული ჟურნალი „ცისკარი“ და ქართული პროფესიული თეატრი.

ნინო ჭავჭავაძე

ცნობილი პოეტი ალექსანდრე ჭავჭავაძე პირველი ქართველი რომანტიკოსი რომც არ ყოფილიყო, მისი სახელი საქართველოს ისტორიას მაინც შემორჩებოდა, როგორც საოცარი ასულების მამა.

ალექსანდრეს უფროსი ასული ნინო განსაკუთრებული სილამაზით ბრწყინავდა იმდროინდელ ქალთა თანავარსკვლავედში, არადა მაშინდელ თბილისში სილამაზით ვისიმე გაკვირვება ძალიან ძნელი იყო. თანდაყოლილი და აღზრდით მიღებული სიმშვიდე, სინაზე, გულისხმიერება, განათლება მიმზიდველს და სასურველს ხდიდა თავის ტოლებში, თაყვანისმცემელი და ხელის მთხოვნელიც მრავლად ჰყავდა ქართველებსა თუ უცხოელებს შორის. ნ. პიკნასოვი წერს: „1827 და 1828 წელს ნინო ალექსანდრეს ასული იყო ბრწყინვალე სილამაზისა,

რომელსაც სახელი ჰქონდა განთქმული, მას ჰყავდა ძალიან ბევრი შორით მოტრფიალე, მისთვის რომ ოხრავდნენ“. მომავალი მეუღლე, ცნობილი რუსი პოეტი და დიპლომატი ალ. გრიბოედოვი მურილიოს მადონას ეძახდა მას, არანაკლებ ცნობილი ქართველი რომანტიკოსი გრიგოლ ორბელიანი კი – წინანდლის ვარდს.

1828 წლის 22 აგვისტოს 16 წლის სიონის ტაძარში ნინო ჭავჭავაძემ ჯვარი დაიწერა ალექსანდრე გრიბოედოვზე. საქორწინო ცერემონიალი წინანდალში გაიმართა.

სამწუხაროდ, ბედნიერი დრო, რომელიც ნინომ და ალექსანდრემ ქორწინებაში გაატარეს, სულ რამდენიმე თვეს გაგრძელდა. მალე გრიბოედოვი დიპლომატიური მისიის მდივნად დაინიშნა სპარსეთში და ახალშეუღლებულები თეირანისკენ გაემგზავრნენ. გზა შორი და დამძლეული აღმოჩნდა, ალექსანდრემ ხუთი თვის ფეხმძიმე მეუღლე თავრიზში დატოვა, თვითონ კი თეირანში წავიდა. 1829 წელს თეირანში იფეთქა ანტირუსულმა ამბოხებამ, რასაც გრიბოედოვი და მისი თანამოაზრეები შეეწირნენ.

ნინოს დიდხანს უმაღლავდნენ მეუღლის გარდაცვალებას, ტრაგედიის გაგებამ კი დედობის სიხარულიც წართვა – მან უდღეური ვაჟი შობა, რომელიც დაბადებიდან რამდენიმე საათში გარდაიცვალა. ნინომ მეუღლის დასახიჩრებული ცხედარი თეირანიდან ჩამოასვენებინა და მთაწმინდაზე დაასაფლავა.

17 წლის მზეთუნახავი უკვე ქვრივი იყო, მას სიკვდილამდე შავები არ გაუხდია და ამიტომ „ტიფლისის შავი ვარდი“ შეარქვეს. არაერთმა დიდებულმა თაყვანისმცემელმა სთხოვა ხელი, მაგრამ სიკვდილამდე ერთგული დარჩა ერთხელ მიცემული ერთგულების ფიცის. მან დარჩენილი სიცოცხლე სხვაზე ზრუნვაში გაატარა, სხვათა გაჭირვების გაზიარება გაიხადა ცხოვრების არსად.

ცნობილია, რომ ნინო სახელმწიფო საქმეებშიც იყო ჩართული. ის თავის დაქვრივებულ დას, სამეგრელოს დედოფალს ეკატერინე ჭავჭავაძეს ეხმარებოდა რეგიონის მართვაში. სამეგრელოში ყოფნისას მან შეარჩია 41 ქალი, მათთვის საგანმანათლებლო პროგრამა შეიმუშავა და მოწყალეების დის სასწავლო კურსს გაუკეთა ორგანიზება.

ნინო ჭავჭავაძე მოყვასისთვის თავდადებას ემსხვერპლა კიდევ – 1857 წელს თბილისში ქოლერის ეპიდემიამ იფეთქა. ნინომ ქალაქიდან გასვლაზე უარი თქვა, ნათესავებსა და ახლობლებზე ზრუნვისას თვითონაც დაავადდა და 49 წლის ასაკში გარდაიცვალა. ეს თავისი ძვირფასი მეუღლის გვერდით დასაფლავეს მთაწმინდაზე.

ნინოს ცხოვრება არის სიყვარულის, ერთგულების და თავდადების საუკეთესო მაგალითი.

ეკატერინე ჭავჭავაძე

თავის მეორე მზეთუნახავ ასულს ეკატერინეს ალექსანდრე ჭავჭავაძემ სახელი თავისი ნათლიის იმპერატორ ეკატერინე II-ის პატივსაცემად დაარქვა.

სადედოფლოდ დაბადებული ქალი მართლად გახდა სამეგრელოს დედოფალი, მაგრამ მანამდე იყო მშობლებისა და ახლობლების მზრუნველობით, თავყანისმცემელთა ყურადღებით გარემოცული წლები თბილისსა და წინანდალში, სადაც ლამაზი, მოხდენილი, ნიჭიერი, გონიერი ეკატერინე საყოველთაო აღფრთოვანებისა და თავყანისცემის ობიექტად იქცა. მის სიყვარულში ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ იმდროინდელი თბილისის საუკეთესო ვაჟკაცები და დედაქალაქის სტუმრები. ერთ-ერთი მათგანი იყო ეკატერინეს ბავშვობის მეგობარი, ქართველი გენიოსი ნიკოლოზ ბარათაშვილი, რომელმაც არაერთი შედეგრი მიუძღვნა თავის კატინას. პოეტმა თავისი ლექსების ალბომი უძღვნა მარადიულ სატრფოს, რომელსაც ეკატერინე მთელი ცხოვრების მანძილზე არ იშორებდა, თან დაჰქონდა რუსეთსა თუ ევროპაში, ბოლოს კი სულმნათ ილია ჭავჭავაძეს გადასცა ქართველი ხალხისთვის დასაბრუნებლად. ფაქტობრივად, ქართველი ერი მეტწილად ტატოს სიცოცხლეში უარყოფელს უნდა უმადლოდეს მის მარადიულ დაბრუნებას ქართულ ლიტერატურაში.

1839 წელს ეკატერინე ცოლად გაჰყვა სამეგრელოს უკანასკნელ მთავარს დავით დადიანს.

როცა დავით დადიანი გარდაიცვალა, ეკატერინე მხოლოდ 37 წლის იყო. დაიწყო სამეგრელოს დედოფლის საპატიო, მაგრამ მძიმე და ეკლიანი გზა. ეკატერინე აგრძელებდა დავითის მიერ დასახული შიდა და საგარეო პოლიტიკური მიზნებისა და ამოცანების რეალიზაციას.

1853 წელს რუსეთ-თურქეთის ომი დაიწყო, 1854 წელს აფხაზეთში შეჭრის შემდეგ, თურქები სამეგრელოსკენ დაიძრნენ. ეკატერინემ დახმარებისთვის რუსეთს მიმართა, მაგრამ დახმარების პერსპექტივა რომ არ გამოჩნდა, დედოფალი თავად ამხედრდა და წინ წაუძღვა გლეხების და დიდგვაროვანთა შენაერთებს. გადამწყვეტი ბრძოლა ნოქალაქევის ციხე-სიმაგრესთან შედგა და თურქეთის არმიის საშინელი დამარცხებით დამთავრდა.

დედოფალმა ომარ ფაშას მიერ გადამწვარი ზუგდიდის აღდგენა დაიწყო, ამასობაში თავისი ოჯახით ალექსანდრე II-ის კორონაციაზე მიიწვიეს რუსეთში. სამეგრელოს დედოფალი ჯილდოებით და საჩუქრებით აავსეს იმ წვლილისთვის, რომელიც მან თურქების დამარცხების საქმეში შეიტანა. ეს დასასრულის დასაწყისი იყო. ეკატერინეს შვილების პეტერბურგში დატოვება შესთავაზეს იმ იმედით, რომ თავადაც შვილებთან დარჩებოდა და სამთავროს თავს მიაწებებდა. დედოფალი სასტიკი წინააღმდეგი იყო სამეგრელოს დატოვების: „არავის ძალუმს წამართვას უფლება, რომელიც ღვთისა და მეფისგან მაქვს ნაბოძები“ – შესჩივლა პეტერბურგში გამგზავრების წინ სასახლის მმართველს დავით ჩიქოვანს. მიუხედავად

ეკატერინეს თხოვნისა და წინააღმდეგობისა, 1867 წელს იმპერატორმა სამეგრელოს სამთავრო გააუქმა.

ტახტდაკარგულმა სამეგრელოს უკანასკნელმა დედოფალმა რამდენიმე წელი სანკტ-პეტერბურგსა და ევროპაში გაატარა. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ განსაკუთრებული ყურადღება გამოიჩინა საგვარეულო ბიბლიოთეკისა და ხელნაწერებისადმი, აგრეთვე წვლილი შეიტანა „ვეფხისტყაოსნის“ ფრანგულად თარგმნაში.

თავისი ცხოვრება ამ ბედის ნებიერმა და ამავდროულად ტრაგიკულმა ქალმა ასე შეაჯამა: „მართალია, მუდამ უცნაური ვიყავი, მაგრამ ჩემი უცნაურობა ის იყო, რომ ვიყავი სუფთა, გულწრფელი და პატიოსანი. გულწრფელობისა და პირდაპირობის გარეშე ქვეყანას თავდაუზოგავად ვერ მოემსახურები. ეგოიზმი ჩემთვის მუდამ მიუღებელი იყო“.

ოლღა გურამიშვილი

შეუძლებელია გარდასულ დროთა ქართველ ქალებზე ფიქრისას არ გაგახსენდეს ილია ჭავჭავაძის მეუღლის ოლღა გურამიშვილის სახელი.

ილია ოლღას ციდან მოვლენილ ადამიანს უწოდებდა. ოლღამ ყველაზე კარგად იცოდა, როგორი ადამიანის გვერდით ცხოვრობდა, ამიტომაც უფროთხილდებოდა,

თაყვანს სცემდა ქართველთა უგვირგვინო მეფეს. მათი პირადი წერილები სინაზის, ურთიერთპატივისცემის, სიყვარულის, საყვარელი ადამიანის მოფრთხილების ქრესტომათიად შეიძლება ჩაითვალოს.

მკვლელობამდე რამდენიმე დღით ადრე ოლღა გურამიშვილს ცუდი წინათგრძნობა ჰქონდა, არ უნდოდა თბილისიდან საგურამოში წასვლა. ცუდის მოლოდინი ილიასაც ჰქონდა ალბათ, რადგანაც არ უნდოდა ოლღა წაეყვანა, მაგრამ მეუღლის დაჟინებულმა თხოვნამ გაჭრა.

საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი უსაშინლესი აქტი აღსრულდა – საგურამოში მიმავალმა ილიამ ტრადიციულად წიწამურის წყაროსთან გააჩერებინა ეტლი მეეტლეს და მოსახდენიც მოხდა – საბედისწერო ტყვია გავარდა.

„ამ კაცს ნუ მომიკლავთ, მე მომკალით, ეს ქვეყანას სჭირდება!“ – ამ სიტყვებით გადაეფარა ოლღა თავის მეუღლეს და ტყვიას მკერდი მიუშვირა, მაგრამ მკვლელებმა თავში კონდახი ჩაართყეს და გონდაკარგული ქალი ღელეში გადააგდეს.

გამოჯანმრთელების შემდეგ ოლღა მთაწმინდის უბანში დასახლდა, რომ მეუღლის საფლავზე ყოველდღე ევლო. ხშირად შეუნიშნავთ აივნის მოაჯირთან მდგარი სანთლით ხელში მთაწმინდისკენ როგორ იყურებოდა და ჩურჩულებდა: „მოვდივარ, ილია, მოვდივარ!“

ეს ქალბატონი თავზე დამტყდარ ტრაგედიას არ გაუბოროტებია, პირიქით, სასამართლოზე, სადაც ილიას მკვლელებს ასამართლებდნენ, ოღლამ წერილი გაგზავნა და მკვლელებისთვის დანაშაულის პატიება ითხოვა: „მე ღრმად მწამს, ილია რომ ცოცხალი დარჩენილიყო, აპატიებდა იმ ადამიანებს, რომლებმაც ხელი აღმართეს მის წინააღმდეგ. შეიცნობდა მათში გზააზნეულ თანამომძიებებს. ეხლა კი მისი ხსოვნა უნდა დაამძიმოთ მისი მკვლელების სიკვდილით დასჯით... მოგმართავთ მხურვალედ, დაბეჯითებული თხოვნით: არ დაამტკიცოთ განაჩენი ამ საცოდავი ადამიანების დასჯის შესახებ...“

აღბათ ძნელია, მსოფლიო ისტორიასა თუ სიტყვაკაზმული მწერლობაში ჰუმანიზმის მსგავსი მაგალითის პოვნა.

Georgian roots of gender equality

Rezume

The problem of gender equality was a bit different from other countries. The woman plays an important role in the history of Georgia. There are a lot of cases in the past when a clever and virtuous woman was able to make relationship between people of

different opinions, conciliate enemies and even states. Woman was a symbol of unity and friendship.

The scarf of women has a great importance. If the women managed to put the scarf between the enemies, they would give up fighting.

The great importance of Georgian woman and her role in the history and political life are well shown in many historical and fictional works. The best example of this is “The Knight of the Panther’s Skin”. This wonderful and greatest poem revealed the women’s role and her power in order to rule the country and solve the problems among people

A lot of people were excited about Georgian women among them: Acschylus, Xenophon, Ptolemy, Strabo, Khaqani, Pietro della Valle, Jonathan Apphus, Molla Panah Vagif, Frederic Dubois de Monpereux, Victor Hugo, Alexandere Dumas, baron Tornau, Alexander Pushkin...

Woman’s intellectual potential was great. After Turkish invasion Italian missionary A. Lombert described the following way: “The population would have been illiterate, if Georgian women had not kept it. If anyone wants to learn reading and writing only women can teach them.”

There is a little review about these Georgian women’s life and activities, who created Georgian aspiration, state and policy in our country and abroad side by side men. Sometimes they were

queens sometimes slaves. Sometimes with bare hands and sometimes with guns.

The book consists of several symbolic chapters and includes short description of some famous

Georgian women's life from 13th century B.C to 19th century A.D. The majority of them are world famous: Medea, Byzantine queen Marta, The king Tamari, Gurji-Khatun, queen of Kakheti – Ketevan, the wife of king Erekle II and his daughters, the queen of Samegrelo - Ekaterine... Some of them played an honorable and important role not only in Georgian history but also in history of east countries. The name of Georgian Gulchara is well known in the history of Iran and Turkey, she was characterized as a wonderful person by western diplomats and travellers but she is not well known in Georgia. The women from a low level of society made a great contribution for our country side by side with noble women. The names of these women are not known, the incredible fighting scenes of these amazons are described by many authors from Pompeus until 19-th century.

This brochure is the review of gender equality on Georgian roots and recalling famous Georgian women's honorable contribution.

